2012 წელი, 22-28 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№35 (589) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ყინწვისის წმინდა გიორგი

ტაძარსა შენსა, წმიდაო გიორგი, კარავსა სახელისა შენისასა, მოვისწრაფოთ ყოველთა, გეკედრებით, მოწამეო ქრისტეისო, მეოხ ჩუენდა იყავ წინაშე მამისა ზეცათაისა.

წმიდა მოწამე გიორგი, უფალო, განძლიერდა საწამებელნოებითა და მტერსა მას სძლია მბრძოლსა, მადლი მოიგო მაცხოვრისაგან და ჩუენდა მეოხ-არს.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კონკურსი გაიმართება ორ ტურად:

პირველი ტური

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ქუჩისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა.

გადმოგზავნის ვადაა 15 დეკემბერი.

მეორე ტური

პირველი ტურის გამარჯვებულები, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საარქივო ბარათს და წარადგენენ მას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტატუსის მისანიჭებლად. საუკეთესო ნიმუშებს 20 დეკემბრამდე მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის“ სტატუსი.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი –
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება –
5. სკოლის დირექტორი –
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) –
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ რას გულისხმობს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ – 5-6 წინადადება.*

♦ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.

♦ რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში.

♦ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში *(5-6 წინადადება).*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

აქტუალური თემა

საჯარო სკოლებიდან გათავისუფლებულ დირექტორთა საინიციატივო ჯგუფის მიმართვა

გვერდი 2

„სადამსჯელო ღონისძიება – 2011“-ს შეწირული პროფესიონალები

გვერდი 2-3

განათლების ხარისხის ამაღლება – ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები და კომპეტენციები

გვერდი 4

როგორ დავძლიოთ სკოლებში დისციპლინარული პრობლემა

გვერდი 5-6

ზოგადი განათლების „ქართული ვერსია“

გვერდი 6

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

აქტუალური თემა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს საჯარო სკოლებიდან გათავისუფლებულ დირექტორთა საინიციატივო ჯგუფის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ სამინისტროს მიზანმიმართული ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად განათლების სისტემიდან სხვადასხვა დროს განდევნილი საჯარო სკოლის დირექტორები.

დარწმუნებულნი გახლავართ, რაკიღა ამ სისტემამ ბოლო წლებში ტოტალიტარული რეჟიმის ყველა „სიკეთე“ იწვნია, უამრავი რეპრესირებული ადამიანი მოგმართავდათ და კვლავაც მოგმართავთ სამართლის საძიებლად.

განათლების სფეროს რეფორმირება წლების უკან სწორედ მართვის გამჭვირვალობისა და საკონკურსო შერჩევის, დემოკრატიზმის პათოსით დაიწყო, მაგრამ პოლიტიკური რეჟიმის დიქტატურისაკენ მიდრეკის კვალობაზე, მან მალევე შეიძინა პიროვნების პოლიტიკური მრწამსის მაკონტროლებლისა და თავისუფალი ნების დამთრგუნველის ფუნქცია. ასე იყო გ. ნოდიას, ნ. გვარამიასა და განსაკუთრებით დ. შაშკინის მმართველობის ავადსახსენებელ პერიოდში, როდესაც ავტორიტარიზმსა და პოლიტიკურად შეფერილ უკუღმართ მანიპულირებას არნახული გასაქანი მიეცა.

მიგვაჩნია, რომ ამჟამინდელი სამინისტროსათვის უპრიანი იქნება გააანალიზოს, ძირითადად როდის, რატომ და რა მოტივით ელეოდა განათლების უწყება ღირსეულ კადრებს. უკანონო გათავისუფლებები საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდა, სკოლები განიცდიდნენ უმძიმეს წნეხს ნაცმოძრაობის სხვადასხვა ჯურის აქტივისტებისაგან, საკრებულოსა და პარლამენტის დეპუტატებისაგან, გამგეობების წარმომადგენლებისაგან. განსაკუთრებით „ერთგულნი“ რესურსცენტრებსა და თავად სამინისტროში იყვნენ და ჯერ კიდევ არიან დღესაც. სწორედ ისინი აღასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს, ეს მათ წაართვეს (!) სკოლას უმთავრესი ფუნქცია – აღზარდონ თავისუფალი და განათლებული, მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებული მომავალი თაობა, რომელსაც დაშინებული და ღირსებააყრილი მასწავლებელი ასეთად ნამდვილად ვერ ჩამოაყალიბებს. ამიტომაცაა დიქტატურა რეზონანსული და უპერსპექტივობის მომტანი ტოტალიტარიზმის არა მხოლოდ ცალკეულ მსხვერპლთათვის, არამედ მთელი ერისათვის.

სამინისტრომ უნდა გააანალიზოს აგრეთვე, რა უკადრისი მეთოდებით უწყვეტდნენ ხელშეკრულებას კონკურსგავლილ, არჩეულ დირექტორებს ან როგორი უღირსი ფორმით: დაშინებით, შანტაჟით აიძულებდნენ მათ დაეწერათ განცხადება გათავისუფლების თაობაზე. სამინისტროს პარტიული აქტივისტები თავიდან ცდილობდნენ ფსევდოდემოკრატიულობის ნიღაბი შეენარჩუნებინათ – ურიგდებოდნენ და პირდაპირ კარნახობდნენ სამეურვეო საბჭოებს ხელშეკრულების გაწყვეტის თხოვნით მიემართათ მინისტრისათვის, რათა მას გაადვილებოდა პოლიტიკურად მიუღებელი დირექტორის რეპრესირება; ბევრი ჩვენგანისათვის პოლიტიკური პასიურობა სავალალოდ დასრულდა. სამინისტრო უსამართლობის განმახორციელებელ მთავარ ინსტრუმენტად იყენებდა გენინსპექციას, მისი უკანონო, ხშირად აბსურდული „დასკვნები“ ათობით ადამიანის გათავისუფლების საფუძვლად გამოიყენეს. იქნებ ოდესმე გენინსპექციის მუშაკთა კეთილსინდისიერებაც შეგეფასებინათ 2007 წლიდან დღემდე?..

განსაკუთრებით გამწვავდა დიქტატურა ბოლო წლებში, როცა რესურსცენტრებიდან და თვითმმართველობებიდან არა სათათბირო ხმის მქონედ, არამედ სრულუფლებიან წევრად ჩასვეს ზედამხედველ-მაკონტროლებლები სამეურვეო საბჭოებში, დირექტორებს აეკრძალათ (სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე) საჯარო გამოსვლა, სტუმრის მიწვევა სკოლაში; რესურსცენტრებს გაეზარდათ ზედამხედველობის უფლება, სკოლებს კი, საგანგებო მითითებით, დაეხშოთ პირდაპირი გზა სამინისტროსკენ. სამაგიეროდ, მხოლოდ სამინისტროს განკარგულებაში აღმოჩნდა საგანგებო სადამსჯელო სამსახური – მანდატურის ინსტიტუტი. დირექტორებს ავალდებულებდნენ, შეედგინათ პოლიტიკურად არასაიმედო პედაგოგთა სია, გაუაზრებელი საშტატო რეფორმის გამო სკოლები დარჩნენ ლაბორანტის, ფსიქოლოგის, ექიმის, ბიბლიოთეკარის გარეშე; ხელაღებით გაუქმდა რუსული სექტორი და უამრავი ადამიანი დარჩა სკოლის მიღმა; ძალადობრივი და გაუაზრებელი იყო აგრეთვე სკოლების ოპტიმიზაციის პროცესი და მისი თანმდევი მოვლენები.

2010 წლის ნოემბერში საატესტატო გამოცდების შემოღებასთან დაკავშირებული საყოველთაო აჟიოტაჟის ფონზე სამინისტრომ ერთ კვირაში 20-მდე უდანაშაულო დირექტორი დაიბარა და დამამცირებლად საყოველთაო ჩხრეკის (!) შემდეგ შიდა აუდიტის დეპარტამენტმა (ი. ანდრიაშვილი) აიძულა ისინი წინასწარ დაწერილ გათავისუფლების განცხადებებზე ხელი მოეწერათ; ურჩებს ემუქრებოდნენ და მუქარას ასრულებდნენ კიდეც... ეს რეპრესიები და გათავისუფლებები „წარმატებით“ გაგრძელდა შემდეგაც. თუ სამეურვეო საბჭო წინააღმდეგობას გაუწევდა, მინისტრი უპირობოდ დაითხოვდა ხოლმე საბჭოს – დირექტორს ტოტალიტარულ რეჟიმთან ბრძოლაში მხარდამჭერი ფაქტობრივად არც რჩებოდა.

დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტის მშვენიერ საბაბად გამოიყენა სამინისტრომ ასევე საატესტატო გამოცდების შედეგებიც. რეპრესიები არ შეხებია მხოლოდ დ. შაშკინის დანიშნულ პირებს და ფავორიტ დირექტორებს – პარტიულ აქტივისტებს.

მანდატურთა მცდელობა დირექტორების მიზანმიმართული დისკრედიტაციისა ბევრ სკოლაში მათი გადირექტორებითა და რესურსცენტრის ხელმძღვანელად დაწინაურებით დამთავრდა.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებისა და ოპტიმიზაციისას შემცირებული მუშაკების ბედს დ. შაშკინი ორიოდე კაცთან ერთად უაპელაციოდ წყვეტდა. ასე იყო თბილისშიც და რეგიონებშიც. ასე რომ, 2007 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად საჯარო სკოლების მიერ არჩეული დირექტორებიდან თბილისის სკოლებს მხოლოდ რამდენიმე თუ შემორჩა.

2011 წელს სამინისტრომ გაუმჭირვალობითა და ტენდენციურობით გამორჩეული სასერტიფიკაციო გამოცდები ჩაატარა დირექტორთათვის და ადრე უსამართლოდ გათავისუფლებულთა დაბლოკვის საშუალებად გასაუბრება გამოიყენა. ამგვარად აღმოჩნდა 300-მდე ადამიანი რეჟიმისაგან რეპრესირებული, სკოლები კი მიზანმიმართულად ხელში ჩაუგდეს არაკომპეტენტურ, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებიდან და, ხშირ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების სფეროდან მოსულ ადამიანებს, რომელთაც სასათბურე პირობები სწორედ განათლების სამინისტროს დილეტანტმა მესვეურებმა შეუქმნეს.

ჩვენ, ყოფილი დირექტორები, რომლებიც ჩვენივე პრინციპულობითა და ცხოვრების წესით ვაძლევდით ბავშვებს მაგალითს მოქალაქეობრივი პოზიციისა და სინდისიერებისა, ამჟამად უკანონოდ რეპრესირებულნი, საკუთარი ღირსებისა და სწორედ მომავალი თაობის წინაშე პასუხისმგებლობის გამო, ვცდილობთ გავარღვიოთ ის ზღუდე, რომელიც ჩვენთვის საგანგებოდ და მიზანმიმართულად გაავლო განათლების სამინისტრომ.

ამიტომაც, პირველი ოქტომბრის შედეგები პირველ რიგში ჩვენი ოცნებების ასრულებად მიგვაჩნია. სწორედ ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, მოვითხოვოთ სამართლიანობის აღდგენა, რაც ჩვენი აზრით, შემდეგში გამოიხატება:

1. პირველ რიგში, გადაიხედოს მინისტრის ბრძანებით გათავისუფლებული დირექტორების საქმეები, გაირკვეს მათი რეალური ბრალეულობის საკითხი და მიეცეს ფაქტებს სამართლებრივი შეფასება.

2. უკანონოდ გათავისუფლებული და პროტესტის ნიშნად თანამდებობადატოვებული დირექტორები ცნობილ იქნენ საზოგადოების და თქვენი პოლიტიკური გუნდის მიერ ტოტალურად აღიარებული სისტემის, რეპრესიების მსხვერპლად.

3. გადაისინჯოს მოქმედი და არამოქმედი დირექტორების კანონთან შესაბამისი ლეგიტიმურობის ხარისხი.

4. სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისი ლეგიტიმაციის მქონე დირექტორებს შეეთავაზოთ ის ადგილები, რომლებიც ამჟამად დაკავებული აქვთ ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე დირექტორებს ან მოვალეობის შემსრულებლებს.

ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელ განათლების სამინისტროს, რომელსაც გაცხადებული აქვს ჯანსაღი განწყობა – ტოტალიტარული ცნობიერებისაგან გაათავისუფლოს სისტემა – არ გაუჭირდება, გაერკვეს ჩვენს გულისტკივილში და მხარი დაგვიჭიროს უკანონოდ შელახული ღირსების აღდგენაში. ამასთანავე, ხელმომწერთა ჯგუფი დაბეჯითებით ითხოვს შეხვედრას პირადად მინისტრთან გამოსავლის საძიებლად და კონსტრუქციული დიალოგისათვის.

საინიციატივო ჯგუფის სახელით:

გიორგი შავლაძე, ვალერიან გიორგაძე, დათო ფაღავა, ზვიად მიმინოშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქალაქი თბილისი, ბარნოვის 45/41
ტ. 235-92-30, 593 76-68-51, 593 37-01-48, 599 56-95-94

„სადამსჯელო ღონისძიება – 2011“-ს შეწირული პროფესიონალები

ანა ფირცხალაიშვილი

განათლების მინისტრის პედაგოგებისა და სკოლის დირექტორებისადმი მიმართვამ, რომელიც ძალიან ადამიანური და ლოგიკურია, ერთი შეხედვით მარტივი, დაგვანახა, რომ საქმე არც ისე იოლად მოსაგვარებელია. სამართლიანობის აღდგენის სურვილით გადადგმული ეს ნაბიჯი, ალბათ, მეტ-ნაკლებად ეფექტური შედეგით მხოლოდ კომისიის შექმნითა და თითოეული საჩივრის ზედმიწევნით შესწავლით დასრულდება. ამავე მიმართვიდან ჩანს, რომ სამინისტრო მხოლოდ მავანთა კეთილი ნების იმედად არ არის და ამგვარი კომისიის შექმნას ნამდვილად აპირებს.

საქმე ის არის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ ბევრი პედაგოგი და დირექტორია დათხოვნილი სკოლიდან. მიზეზი სხვადასხვაგვარია – პოლიტიკური მოტივი (?!), ოპტიმიზაცია, მცირე საათობრივი დატვირთვა და ა.შ. პირველი ტალღა 2010 წლის 9 ნოემბრის მეთორმეტეკლასელთა აქციას მოჰყვა, ისინი საატესტატო გამოცდების დაჩქარებული წესით შემოღებას აპროტესტებდნენ და გადაწყვეტილების ერთი წლით გადავადებას მოითხოვდნენ. თითქოს არაფერი განსაკუთრებული, მით უმეტეს, მიუღებელი ამ მოთხოვნაში არ იყო, შეიძლებოდა შეხვედროდნენ, აეხსნათ, მათი აზრიც მოესმინათ, იქნებ დაერწმუნებინათ კიდეც, ისინი ხომ 17-18 წლის ახალგაზრდები იყვნენ და უფლება ჰქონდათ დაინტერესებულიყვნენ საკუთარი მომავლით. ყველას გვახსოვს, რა მიიღეს სანაცვლოდ – აქციის მონაწილეებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა ქვეყნის ხელისუფლებისგან, ხოლო მათმა დირექტორებმა მძიმე ანგარიშსწორება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სხვადასხვა მოტივით ასამდე სკოლიდან გაუშვეს დირექტორები და პედაგოგები. ერთ-ერთი პირველი 149-ე საჯარო სკოლა იყო. მისი ყოფილი დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მაია გიორგაძე**, ის ადამიანია, რომელიც ძალიან ღირსეულად, უშიშრად დაუპირისპირდა სამინისტროს გადაწყვეტილებას ხელი მოეწერა განცხადებისთვის საკუთარი ნებით სამსახურიდან გათავისუფლებაზე. ქალბატონი მაია ასე იხსენებს იმ დღეს: *„ღამის 8 საათი იქნებოდა სამინისტროში რომ მივედი (ამ დროს დაგვიბარეს), ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი კოლეგები, სულ რვა დირექტორი. მოგვექცნენ ისე, როგორც ექცევიან, ალბათ, ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩამდენთ. გაგვჩხრიკეს განსაკუთრებული მონდომებით, დაგვატოვებინეს ჩანთები, მობილური ტელეფონებიც კი და ასეთი მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ (რაც, მათი აზრით, ჩანაფიქრის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობა იყო) აღმოვჩნდი გენინსპექციის უფროსთან, **ირაკლი ანდრიაშვილთან**. მას ხელში ეჭირა დისკი და მეუბნებოდა, რომ საპროტესტო აქციაში ჩემი სკოლის მეთორმეტეკლასელებმა მიიღეს მონაწილეობა, რაც აღბეჭდილია ფირზე, რის გამო მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება ჩემი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე. ბუნებრივია, ვიდეომასალის ჩვენება მოვითხოვე. მე მხოლოდ ერთი მეთორმეტე კლასი მყავდა და სკოლაში იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, ვიდეომასალა არ მაჩვენეს. მეც არ მოვაწერე ხელი მზა განცხადებას, ჯერ ერთი, თუნდაც ყოფილიყვნენ ჩემი მოსწავლეები საპროტესტო აქციაზე, ამაში ვერც მათ და ვერც ჩემს დანაშაულს ვერ ვხედავდი და მეორეც, მე არჩეული დირექტორი ვიყავი და ვადა 2013 წლის ზაფხულში გამდიოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შაშკინის ამ თამამ გადაწყვეტილებას ზურგს უმაგრებდა მისი წინამორბედის მიერ კანონში შეტანილი ცვლილება – სამეურვეო საბჭოს მიერ უარის შემთხვევაში, მინისტრს უფლება აქვს დაითხოვოს დირექტორი. სწორედ ამ უფლებით ისარგებლა მაშინ შაშკინმა ჩემი და სხვა არჩეული დირექტორის დათხოვნისას. იმ დღესვე გამაფრთხილეს, რომ თუ მაშინვე არ მოვაწერდი ხელს განცხადებას სკოლიდან საკუთარი სურვილით წასვლის შესახებ, საქმე გამირთულდებოდა და ამას გენინსპექცია გააკეთებდა. არც მე და არც გენინსპექციამ საკუთარი გადაწყვეტილება არ შევცვალეთ და მეორე დღესვე შემოვიდა ჯგუფი სკოლის შესამოწმებლად. იქცეოდნენ სრულიად არაადეკვატურად, როცა რაიმე საბუთს გვთხოვდნენ და მივუტანდით, არ იღებდნენ, დარღვევად გვითვლიდნენ ძალადაკარგული კანონების შეუსრულებლობას და ა.შ. რა თქმა უნდა, რაიმე სერიოზული დარღვევა ამ შემოწმებით ვერ იპოვეს, მაგრამ ამას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია იმიტომ, რომ გადაწყვეტილება კარგა ხნის მიღებული იყო. შემდეგ საქმე ცოტა ხნით სამეურვეო საბჭომ გაურთულათ, ოთხჯერ ჩატარდა სხდომა, საბჭომ არც ერთხელ არ მიიჩნია შემოწმების მასალები საკმარისად დირექტორის გასათავისუფლებლად. ბოლოს შაშკინმა გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და 29 დეკემბერს გამათავისუფლა. ამავე მიზეზით, უფრო სწორად, იმის გამო, რომ ჩემზე გავლენის მოხდენა ვერ შეძლო (არც უცდია, რადგან მეთანხმებოდა და მიაჩნდა, რომ ასეც უნდა მოვქცეულიყავი ჩვენი ოჯახისა და ჩემი სკოლის მოსწავლეების ღირსებისათვის) სამსახურიდან დაითხოვეს ჩემი მეუღლეც, 148-ე სკოლის დირექტორი **ვალერიან გიორგაძე**. მას შემდეგ ორივე სკოლას ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები უდგანან სათავეში, რომლებიც რესურსცენტრის უფროსმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოიყვანეს სკოლებში. აქტიურად იყო ჩართული მინისტრის მოადგილე **კოკა სეფერთელაძეც**. მე მასწავლებლობის გაგრძელებას ვაპირებდი, 6 საათი მქონდა ბიოლოგიაში და განვუცხადე კიდეც ახალდანიშნულ დირექტორს, რომ დავრჩებოდი სკოლაში. ორი დღის შემდეგ პასუხად გათავისუფლების შესახებ ბრძანება მივიღე. რაც შეეხება 148-ე სკოლას, როგორც ვიცი, შენობა გაიყიდა და იქ 51-ე სკოლის დირექტორის **დავით ლაგვილავას** კერძო სკოლა ფუნქციონირებს. ჩვენ კი ორივენი ორი წელია უმუშევარი ვართ, ოჯახი მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ, როგორც ჩემი მეუღლე ამბობს, სამაგიეროდ, ჩვენმა შვილებმა იციან, რომ მათ არ ჰყავთ მშიშარა და უსამართლო მშობლები. ჩვენ კი სრულიად შეგნებულად წავედით ამ გზით, იმთავითვე ვიცოდი, რა შედეგიც მოჰყვებოდა სისტემასთან დაპირისპირებას, მაგრამ არ ვნანობ, კომპრომისის გზა რომ არ ავირჩიე, ეს ჩვენი პრინციპებისა და ღირსების საკითხი იყო“.*

თითქმის ანალოგიურია ის, რაც 173-ე სკოლაში მოხდა. ქალბატონი **მზია გიორგობიანიც**

აქტუალური თემა

ღამის 10 საათზე გამოცხადდა გენინსპექციაში. *„ძალიანაც არ გამკვირვებია, რადგან სკოლაში მანდატურების შემოსვლის შემდეგ, მათი პატაკების საფუძველზე, ნებისმიერ უმნიშვნელო საკითხზე გვიბარებდნენ და ახსნა-განმარტებას გვთხოვდნენ,* – ამბობს ყოფილი დირექტორი ქალბატონი მზია – *იმ დღეს ძალიან ბევრი საქმე მქონდა სკოლაში. დიდი სკოლაა, მარტო 250 მეთორმეტეკლასელი მყავდა (9 პარალელური), სულ 2300 მოსწავლით, მთელი დღის განმავლობაში მიხდებოდა შენობაში ტრიალი, შინ ძალიან დაღლილი დავბრუნდი, ისიც არ ვიცოდი, რომ მეთორმეტეკლასელთა აქცია გამართულა. ამიტომ თავდაპირველად ვერც კი მივხვდი რას მეკითხებოდნენ. თან ძალიან განერვიულებული შევედი ანდრიაშვილთან იმ ჩხრეკის გამო, სამინისტროს შესასვლელში რომ მოგვიწყვეს, მხედველობის სათვალეც კი დამატოვებინეს. მერე კი გავერკვიე რაშიც იყო საქმე, არაფერი მიუკიბ-მოუკიბავს გენინსპექციის უფროსს, პირდაპირ განცხადება მომაწოდა, გათავისუფლებული ხართ და ხელი მოაწერეთო. უსათვალოდ ვერ გავარჩიე რა ტექსტი იყო და ვთხოვე, წამიკითხეთ მაინც რაზე მაწერინებთ ხელს-მეთქი – მივმართავდი სამეურვეო საბჭოს, გავეთავისუფლებინე დირექტორის თანამდებობიდან. ვუთხარი, ჩვენი სკოლა ოპტიმიზებულია, სამეურვეო საბჭო არ გვყავს და როგორ მივმართო მეთქი, შევცდითო „შეწუხდნენ“ და ახალი განცხადება მომაწოდეს, თან დამემუქრნენ, თუ ხელს არ მოაწერ, ინანებო. სხვა გზა არ მქონდა და დირექტორობა დავთმე, თუმცა მასწავლებლად დარჩენას ვაპირებდი, ფილოლოგი ვარ და საათებიც მქონდა. 27 წელი ვიმუშავე სკოლაში და, ბუნებრივია, ასე მოულოდნელად და სრულიად უმიზეზოდ სკოლიდან წასვლა ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. სკოლის ახალმა დირექტორმა, ბადრაგისა და პატრულის გამოცდილებით, იმჟამად 117-ე სკოლის მანდატურმა* ***თინათინ ნასიძემ*** *ჩემი სურვილი არ გაითვალისწინა და კატეგორიულად მომთხოვა სკოლიდან წასვლა. ამას მოსწავლეთა პროტესტი და აქცია მოჰყვა, გახმაურდა მომხდარი და ჩემი დასჯის მიზნით შემოვიდა კიდეც გენინსპექცია, თორემ მეთორმეტეკლასელთა საპროტესტო აქციაში ვითომდა ჩემი მოსწავლეების მონაწილეობის დამადასტურებელი ვიდეომასალა არც ჩემთვის უჩვენებიათ, სასწავლო პროცესის დროს არც ერთ მათგანს სკოლის ტერიტორია არ დაუტოვებია და გაკვეთილების შემდეგ რომ შეერთებოდნენ კიდეც აქციის მონაწილეებს, ამას ვერც და არც გავაკონტროლებდი. მას შემდეგ უმუშევარი ვარ, კერძო სკოლებშიც კი მოახერხეს ჩემი დაბლოკვა. უკვე იანვარში 10 პედაგოგი დაითხოვა ახალმა დირექტორმა სკოლიდან, ზაფხულისთვის 45 იყო გათავისუფლებული. გახშირდა საჩივრები სხვადასხვა ინსტანციებში ნასიძის საწინააღმდეგოდ. მინისტრმა საკუთარი რჩეული, გაწეული ერთგულებისთვის, დააწინაურა და გენინსპექციაში გადაიყვანა. სკოლას ამით არაფერი შეღავათი და სიკეთე არ მიუღია, იგი შაშკინის კიდევ ერთი რჩეულით,* ***შორენა ბუნტურით*** *ჩაანაცვლეს, რომელიც იმავე პოლიტიკას ატარებს, რასაც მისი წინამორბედი. ორი წლის განმავლობაში 80-მდე პედაგოგმა და 600-მა მოსწავლემ დატოვა სკოლა – პედაგოგებმა იძულებით, მოსწავლეებმა – ნებაყოფლობით.*

სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენს სკოლაში მომხდარიც შეისწავლოს კომისიამ და ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, სკოლის ინტერესებს რომ შეესაბამება. ამ მოთხოვნით ჩვენ მივმართეთ კიდეც ახალ მინისტრს“.

დასაწყისში ვთქვი, სკოლებიდან პედაგოგთა დათხოვნას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა-მეთქი. როგორც ჩანს, პოლიტიკური მოტივით გაცილებით მეტი დირექტორი და პედაგოგი გათავისუფლდა, მათი ისტორიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ამიტომაც შემოვიფარგლეთ მხოლოდ ორი მაგალითით. თუმცა, იქნებ ერთი რომელიმე პედაგოგისთვის არც ჰქონდეს ამ მიზეზებს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი და თვალშისაცემი ისაა, რომ არასოდეს ასეთი წინდაუხედავი, მასშტაბური და გაუაზრებელი „ბრძოლა“ პედაგოგიური საზოგადოების წინააღმდეგ არ განხორციელებულა. მხოლოდ სკოლებს არ ვგულისხმობ – ასე მოხდა უმაღლეს სასწავლებლებსა და პროფესიულ კოლეჯებშიც.

43-ე საჯარო სკოლის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი **ელზა ჯიბილიანი** იხსენებს, რომ მათთან ეს პროცესი ცოტათი ადრე, მაისში დაიწყო, როცა გენინსპექცია სკოლებს ამოწმებდა. სრულიად უსუსური საბაბით ითხოვდნენ დირექტორებს, ამ ტალღაში მოყვა ბატონი **ბესარიონ სიხარულიძეც**, სკოლის მაშინდელი დირექტორი, რომელიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა სკოლაში. მალე შაშკინი ეწვია 43-ეს, ახალ დირექტორთან, **ნაირა ბახიასთან** ერთად, მათ დაათვალიერეს შენობა, რომლის შეერთებაც უკვე გადაწყვეტილი იყო ყოფილ 58-ესთან. შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: *„ამ ვიზიტიდან ორი თვის თავზე დირექტორმა გადმოგვცა მინისტრის სიტყვები, რომ სკოლების ოპტიმიზაციიდან გამომდინარე დაგვეწერა განცხადებები გათავისუფლების შესახებ და შემდეგ ახლიდან დაკომპლექტდებოდა სკოლა. ჩვენ ეს შემოთავაზება გავაპროტესტეთ, რასაც მოჰყვა მუქარა, როცა ზეწოლა გაძლიერდა, განცხადებები დავწერეთ. ეს სასწავლო წლის დასასრულს მოხდა, 25 ივლისამდე დავდიოდით სკოლაში, თუმცა ხელფასი მხოლოდ 3 დღის ავიღეთ, ჩვენი საჩივარიც სწორედ გაუცემელ საზაფხულო ხელფასებს შეეხება, რომელიც არა თუ გათავისუფლებულ, სკოლაში დატოვებულ მასწავლებლებსაც არ მისცეს. არანაკლებ გვაწუხებს სკოლაში შექმნილი ვითარება, თითოეულმა ჩვენგანმა ათეული წელი გაატარა ქალაქის ამ ერთ-ერთ ყველაზე ძველ, ტრადიციულ, არაერთი სახელოვანი სპეციალისტისა თუ ღირსეული მოქალაქის აღმზრდელ სკოლაში. ადვილი არ არის პედაგოგისთვის სპეციალობის დათმობა. ასეთი კი 56-დან 32 აღმოჩნდა! არ ვიცი რა მიზეზით გაუშვეს ბახია, მაგრამ ახალ სასწავლო წელს 43-ეს დირექტორად ყოფილი მანდატური, შემდეგ 58-ეს დირექტორი* ***თინათინ აბუთიძე*** *დაინიშნა. სკოლისთვის სრულიად შეუფერებელი კანდიდატურაა, პროტესტის ნიშნად ორი ისეთი მასწავლებელიც წამოვიდა სკოლიდან, ვინც მას არ გაუშვია. ღირსების საქმეა, ყველასთან ხომ არ იმუშავებს თავმოყვარე ადამიანი! როგორც მეუბნებიან, თითქმის, არ ყოფილა შემთხვევა, რომ 9 საათზე სკოლაში იყოს, ყველა გაურბის მასთან ურთიერთობას, მშობლებიც უკმაყოფილონი არიან და მოსწავლეებიც...“*

ქალბატონ ელზასთან შეხვედრის შემდეგ არაერთხელ ვცადე დირექტორთან დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ, ხან სკოლაში არ იყო, ხან სკოლის ტერიტორიაზეაო, ხან გაკვეთილს ესწრებოდა (?!), პირად ნომერს კი არ მაძლევდნენ. შემდეგ იძულებული გავხდი რესურსცენტრის უფროსისთვის მეთხოვა მისი ტელეფონის ნომერი. დავურეკე და ორწუთიანი საუბრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა მძიმეა, როცა ადამიანი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მისთვის სრულიად შეუფერებელ ადგილას აღმოჩნდება. კითხვებისთვის რომ თავი აერიდებინა, ისეთი არაბუნებრივი ხველება დაიწყო, პატარა ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ სტყუოდა, თან ყელის ტკივილი მოიმიზეზა, მეტს ვერ დაგელაპარაკებითო მითხრა და ჩვენი საუბარიც ამით დამთავრდა. მაშინ გამახსენდა, წინა დღეს სკოლაში მივედი, ტელეფონით რომ ვერ დავუკავშირდი, მაგრამ სკოლაში არ დამხვდა, არადა უკვე 10 სთ. 30 წთ. იყო, გამოსვლისას უცნობმა მაღალკლასელმა ბიჭმა მითხრა, ქალბატონო, ჩვენ დირექტორი არ გვყავს, მაგას დირექტორად არავინ არ აღიქვამსო. ქალბატონ ელზას წუხილიც უფრო გასაგები გახდა ჩემთვის. ის ხომ რიგითი ფუნქციონერი არასოდეს ყოფილა, როგორც სასწავლო ნაწილის გამგე, დიდი გამოცდილების მქონე წარმატებული პედაგოგია. როგორც ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო განათლების სწავლების მხრივ, ისე როგორც ინგლისურის საუკეთესო სპეციალისტი, რომელმაც ძალზე სერიოზულ კონკურსში მოიპოვა ამერიკაში ორთვიანი სტაჟირების უფლება. ქალბატონი ელზა იმ პედაგოგებს ასახელებს, რომლებიც ორი სკოლის გაერთიანებას შეეწირნენ: **აქსანა ნერსესიანი** – ინგლისურის პედაგოგი, რომელმაც ასევე ამერიკაში გაიარა სტაჟირება; **მანანა ჩაჩანიშვილი** – ამერიკის საკონსულოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფინალისტი; **მარინა ფარსადანოვა** – ბიბლიოთეკის გამგე, საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც სკოლის უკნიკალური რუსულენოვანი წიგნადი ფონდი ასობით ქართული წიგნით გაამდიდრა; **მარიკა კევლიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ქეთევან ქავთარაძე, ირინა ბაღიშვილი** და სხვ.

43-ეზე საუბრის დასასრულს აუცილებლად მინდა სინანულით აღვნიშნო, რომ, როცა ეს ამბები მოხდა, კოლექტივი სკოლის 100 წლის იუბილესთვის ემზადებოდა. აქაური ტრადიციით, კურსდამთავრებულები პერიოდულად ყოველთვის აწყობდნენ ასეთ შეხვედრებს. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები 43-ელებისთვის ეს იყო არა მარტო ბავშვობის წლების გახსენება, საყვარელ პედაგოგებთან ურთიერთობით მიღებული სიამოვნება, არამედ შანსი, დახმარებოდნენ მშობლიურ სკოლას, უფრო ხშირად, ფინანსურად, რადგან მუდამ ისეთივე ლამაზი ყოფილიყო, როგორც მათ ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა. 100 წლის იუბილე კი, ბუნებრივია, უფრო მასშტაბურ სახეს აძლევდა ამ ტრადიციას. უკვე ხაზინადარიც შერჩეული იყო და პედაგოგებიც ყოველ ხელფასზე დებდნენ გარკვეულ თანხას. საქმის კურსში იყვნენ ბაქოში, ერევანში, მოსკოვში, ამერიკაში მცხოვრები კურსდამთავრებულები, ზოგიერთმა მათგანმა ფულიც კი გადმორიცხა. ყველა სულმოუთქმელად ელოდა თბილისში ჩამოსვლას... ახლა იციან, რომ ეს დღესასწაული არ შედგება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, თანხებიც დაუბრუნდათ, ძალაშია მხოლოდ წინასწარ შედგენილი ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელებაც, ვიმედოვნებ, დიდი ხნით არ გადაიდება.

კიდევ ერთი, 130-ე სკოლის შესახებაც მინდა გიამბოთ. ძნელი სათქმელია, რა მოტივით იყო განპირობებული დირექტორისა და პედაგოგების გათავისუფლება – პოლიტიკური თუ მცირე საათობრივი დატვირთვით. ყოფილი დირექტორი **ხათუნა ნებიერიძე** ამბობს, რომ შარშან მაისში მას გადასცეს ოპოზიციურად განწყობილი 17 პედაგოგის სია და რესურსცენტრის უფროსის თანდასწრებით მათი სკოლიდან დათხოვნა „ურჩიეს“, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად მოუწევდა თანამდებობის დატოვება. მან ეს დავალება არ შეასრულა და რამდენიმე თვის შემდეგ, 25 ოქტომბერს, მინისტრის ბრძანებით გათავისუფლდა კიდეც დირექტორის თანამდებობიდან. მისი თქმით, რეალური მიზეზი ეს იყო. ფორმალურად კი, ბრალად დასდეს სოციალურად დაუცველი მოსწავლეების შესახებ დოკუმენტაციის სამინისტროსთვის მიუწოდებლობა, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. მას 86 მოსწავლის ამ სტატუსის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი ჩაბარებული ჰქონდა სამინისტროში, როცა სრულიად მოულოდნელად სამინისტრომ მონაცემების ელექტრონული ვერსია მოითხოვა, რომლის მიწოდება ვერ მოხერხდა მითითებულ ვადაში, თუმცა, როგორც ითქვა, ეს ინფორმაცია სამინისტროში კარგა ხნით ადრე იდო. ქალბატონი ხათუნა ამბობს, რომ მსგავსი პრობლემა მაშინ ბევრ სკოლას შეექმნა. ის კი იძულებული გახდა თავად შეეძინა ამ 86 მოსწავლისთვის სახელმძღვანელოები. სასკოლო ფონდში არსებული I-VI კლასების სახელმძღვანელოების გარდა, მან ეს წიგნები ბანკიდან გამოტანილი თანხით შეიძინა და 14 სექტემბერს ყველა სახელმძღვანელო სკოლაში იყო. ასე რომ, არც ერთი სოციალურად დაუცველი მოსწავლე არ დაზარალებულა. მისივე განმარტებით, შეგნებულად შეფერხდა სკოლაში სარემონტო სამუშაოებიც და სასწავლო წლის დაწყებისთვის ერთი ფლიგელი ძლივს მოესწრო. ეს გახდა საბაბი იმისათვის, რომ სკოლაში გენინსპექციის ჯგუფი შესულიყო. *„ოთხწელიწადნახევარში სამჯერ ვარ შემოწმებული. მე მგონი ასეთი რამ არსად არ მომხდარა. შემოწმების დასკვნაში ისეთი შენიშვნებია შესული, წინა შემოწმებისას რომ ჩაწერეს და გამოვასწორე. ასეა თუ ისე, ეს დასკვნა გახდა ოფიციალურად განთავისუფლების საფუძველი. ბრძანება რესურსცენტრის უფროსმა გადმომცა, თუმცა მანამდე საკუთარი განცხადებით წასვლაც შემომთავაზეს, რაზეც მე არ დავთანხმდი. ჩემი წამოსვლის მერე რესურსცენტრის უფროსი ამბობდა, დასაჭერი იყო და ვაპატიეთო (!). ძალიან საინტერესოა, რატომ მაპატიეს; თურმე იმასაც იკვლევდნენ, როგორ შევიძინე წიგნები და ა.შ. მთავარი, რაც ჩემ განთავისუფლებას მოჰყვა, დირექტორად ყოფილი მანდატურის,* ***ამურ ხარტონიშვილის*** *დანიშვნა იყო. შაშკინს ხომ ეს გეზი ჰქონდა აღებული – პროფესიონალების მანდატურებით ჩანაცვლება. ძალიან მალე, სულ რაღაც 2 თვეში, განთავისუფლდნენ კიდეც პედაგოგები“.*

130-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსაც გავესაუბრე. ბატონი ამური თსუ კურსდამთავრებულია, ეკონომისტი, 2004-2010 წწ. რესპუბლიკური პარტიის წევრი და გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის აპარატის ხელმძღვანელი, მუშაობდა შპს „ჩუქურთმას“ გაყიდვების მენეჯერად. შემდეგ იძულებული გახდა შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახური ეშოვა, რადგან მეუღლე და ორი შვილი უნდა ერჩინა და გადაწყვიტა საპატრულო პოლიციაში მოსახვედრად გამოცდები ჩაებარებინა. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, სამი თვე იმუშავა, როცა განათლების მაშინდელმა მინისტრმა 22-ვე კურსდამთავრებულს მანდატურის ერთთვიანი კურსების გავლა და საპილოტე 7 სკოლაში სამსახური შესთავაზა. ასეც მოხდა. სწორედ აქედან გაიწვიეს იგი რეზერვში, საიდან დაბრუნებულმაც მონაწილეობა მიიღო დირექტორების კონკურსში და მაღალი ქულებიც დააგროვა, თუმცა სამსახურს მანდატურად აგრძელებდა, ვიდრე შაშკინმა 130-ე სკოლის დირექტორობა არ შესთავაზა. *„მე აქ 2011 წლის ოქტომბრიდან ვმუშაობ, სიის შესახებ არაფერი ვიცი, ჩემთვის ასეთი რამ არავის შემოუთავაზებია. როგორც ვიცი, ეს კოლექტივი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იყო, ორი მათგანი კოორდინატორადაც მუშაობდა. რაც შეეხება გათავისუფლებას, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც საათობრივ დატვირთვას გავეცანი. ერთ საგანში 3-4-5-6-საათიანი დატვირთვა ჰქონდათ პედაგოგებს. მაგალითად, 10 ინგლისურის მასწავლებელი გვყავდა, ახლა 5-ია, ასევეა ქართულში, ისწავლებოდა შრომა, ძირითადად ფორმალურად, 2-3 საკერავი მანქანა აქვს სკოლას. ახლა შრომის მასწავლებელმა აღდგენის თხოვნით მომმართა, წრის ჩამოყალიბება შევთავაზე, ასე გაცილებით მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე 5-საათიანი შრომის გაკვეთილის ჩატარებით იღებდა. ხელოვნების პედაგოგმაც მომმართა, მასაც, ალბათ, დავაკმაყოფილებ. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი ამ გადაწყვეტილების მიღებაში არადემოკრატიული შრომის კოდექსია, კერძოდ, 37-ე მუხლი, რომელიც ამის უფლებას აძლევს დამსაქმებელს. თუ ეს კანონი შეიცვლება და სამინისტროც შეცვლის წესს საათობრივი განაკვეთის შესახებ, ვფიქრობ, მსგავსი საკითხები უფრო იოლად დარეგულირდება. სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ პოლიტიკური ნიშნით მე ამ საკითხს ნამდვილად არ მივდგომივარ, შინაგანადაც არ ვარ ასეთი, ამიტომაც ვიყავი რესპუბლიკური პარტიისწევრი. სხვათა შორის, ჩვენთან ასწავლიან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პედაგოგები, ერთი საუბნო კომისიის წევრიც იყო. რაც შეეხება ყოფილ დირექტორს, ვიცი, რომ მას გენინსპექციის შემოწმების შემდეგ მოუწია სკოლიდან წასვლა“.*

ბატონი ამური ამბობს, რომ მზად არის აღდგენის თაობაზე ყველა პედაგოგს შეხვდეს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს. თუ ასეა, გაუგებარი ხდება ორი თვის დანიშნულმა დირექტორმა, რატომ მიიღო მაშინ ასეთი მძიმე გადაწყვეტილება. ხომ შეიძლებოდა, მთელ კოლექტივთან ერთად, კათედრების მიხედვით, ემსჯელათ და მხოლოდ საკუთარი დაკვირვებით (როგორც თავად ამბობს) არ დაეთხოვა სკოლიდან 17 მასწავლებელი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა და ასეც უნდა მომხდარიყო, თუ ის მართლაც თავისუფალი იყო გადაწყვეტილების მიღებისას. იმასაც ამბობს, რომ პედაგოგების შემცირებით სკოლას არავითარი ფინანსური დანაზოგი არ მიუღია. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვის საფუძველს.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ აუცილებელია კომპეტენტურმა კომისიამ იმსჯელოს თითოეული კერძო შემთხვევის ირგვლივ, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს რაიმე სახის შეცდომა.

დაბოლოს, საკუთარი კომენტარის ნაცვლად მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან „კრიტიკული აზრის უქონლობა“. ვფიქრობ, იგი კარგად ხსნის მომხდარის ერთ-ერთ მიზეზს.

„...ნუთუ ამგვარი უთანხმოება აზრისა, ერთმანეთის გაუგებლობა სამწუხარო არ არის? განა ყოველივე ესე შესაძლებელი იქნებოდა, ჩვენში რომ კრიტიკული აზრი მუშაობდეს? განა ეგ შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ ჩვენ შეჩვეულნი ვიყვნეთ სამართლიანს მსჯელობას და ყოველსავე საქმის რიგიანად დაფასებას და აწონ-დაწონვას?“

1888 წ. 8 იანვარი

მეორე მიზეზი კი, ჩემი აზრით, საზოგადოებაში სოლიდარობის დეფიციტია. ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების სამინისტროს არც ერთ უკანონო გადაწყვეტილებას, დარგის მუშაკებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას, კოლეგების მხრიდან, თანაგრძნობის გამომხატველი არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია, ვერც გაერთიანებულმა პროფკავშირმა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რამდენიმე კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ დროებით დაიბლოკა სკოლებში ჩვენი გაზეთის შეტანა, რის გამოც რამდენიმე დირექტორმა წერილობით თქვა უარი ხელმოწერაზე. საბედნიეროდ, ეს ძალიან მცირე გამონაკლისი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერმა ერთად გაანაპირობა ის შედეგი, რაც მივიღეთ. მეტი სოლიდარობის პირობებში იქნებ მცდელობის იქით ვერც წასულიყო საქმე.

აქტუალური თემა

განათლების ხარისხის ამაღლება – ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები და კომპეტენციები

ლალი ჯელაძე

2012-13 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-XII კლასებში დაიწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. როგორ მიმდინარეობს პროცესი და რა აქტივობები ხორციელდება ამ მიმართულებით – გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნათია ჯოხაძე.

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მომზადდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლებისთვის, რომლის დანერგვის პროცესი სკოლებში გასულ სასწავლო წელს დაიწყო, შარშან, I-VI კლასებში დაინერგა, წელს კი VII-XII კლასების ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა დავიწყეთ. როცა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე ვსაუბრობთ, სკოლებისთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია რამდენიმე მიმართულება, რადგან სასწავლო გეგმის დანერგვა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პირველი კომპონენტი – ეს არის სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით იქმნება, შემდგომ ხდება მათი შეფასება სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, აუცილებელი პირობაა ყველა სახელმძღვანელო აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებს.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი მასწავლებლების ხელშეწყობაა, მათი ტრენინგი სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მიხედვით. ჩვენი კომპეტენციაა ახალი სასწავლო გეგმის მიერ დაყენებული მოთხოვნების შესახებ მივაწოდოთ ინფორმაცია, მოვამზადოთ და დავეხმაროთ მასწავლებლებს, როგორ, რა მეთოდიკით ასწავლონ ესა თუ ის საგანი.

I-VI კლასებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის ყველა საგანში მოვამზადეთ სასწავლო გეგმებზე დაფუძნებული საგნობრივი გზამკვლევები. 2011 წელს სასწავლო გეგმის საგნობრივი ტრენინგი 8000-ზე მეტმა მასწავლებელმა გაიარა – როგორ გაიყვანოს მოსწავლე იმ კომპეტენციებზე, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა აყენებს, იმ შედეგებზე, რაც აუცილებლად უნდა დადგეს კონკრეტული საგნის სწავლებისას წლის ბოლოს. როგორ მიაღწიონ ამ შედეგს – სწორედ ამაზეა საუბარი საგნობრივ გზამკვლევებში. პუბლიკაციებში მოცემულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილი სხვადასხვა ტიპის აქტივობებითა და მეთოდიკით. მზად გვაქვს ასეთივე ტიპის გზამკვლევები VII-XII კლასებისათვის, მაგრამ აღნიშნული გზამკვლევების დასრულება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ბიუჯეტის არქონის გამო. ამის თქმა, ვფიქრობ, აუცილებელია, რადგანაც ხშირად ისმის შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რატომ არ გამოიცა VII-XII კლასების საგნობრივი გზამკვლევები. როცა 2011 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ლიკვიდაცია გადაწყდა, მისი გარკვეული ფუნქციები სამინისტროში გადავიდა, ანუ შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ბიუჯეტში კი ეროვნული სასწავლო გეგმების მიმართულებით გამოყოფილი თანხები გახლდათ ნული, რის გამოც ძალიან ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შევძელით. ამ საკითხზე არაერთი შეხვედრა გვქონდა მაშინდელ მინისტრთან ბიუჯეტის გამოყოფის მოთხოვნით, თუმცა ასე არ მოხდა. რაც შეეხება VII-XII კლასების გზამკვლევებს, ეს მასალა შეიქმნა დეპარტამენტში მომუშავე საგნობრივი ექსპერტების ინტელექტუალური შრომის შედეგად, მაგრამ ფინანსების არქონის გამო გზამკვლევები ვერ დასრულდა. მიხარია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ეს თანხები გათვალისწინებულია და მოგვეცემა საშუალება, რომ VII-XII კლასების გზამკვლევები დასრულდეს და ადრესატამდე, მასწავლებლამდე მივიდეს. მერწმუნეთ, მოთხოვნა ძალიან დიდია. გასულ წელს, იმ პედაგოგებს, რომლებმაც ტრენინგები გაიარეს, გზამკვლევები უფასოდ დავურიგეთ. გარდა ამისა, ყველასთვის ხელმისაწვდომია I-VI კლასების გზამკვლევების ელექტრონული ვერსიები სამინისტროს ელექტრონულ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გზამკვლევებს თან ახლავს CD-დისკები, დამატებითი რესურსი. მათ შექმნაში დიდი და ფუნდამენტური შრომაა ჩადებული. ეს მართლაც მნიშვნელოვანი გამოცემებია მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის, ასევე, სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, მასწავლებლებს ასეთი ტიპის რესურსი დაეხმარება სხვადასხვა სახის სერტიფიცირების მოდელებში მონაწილეობისას. ასეთი ტიპის საგნობრივი გზამკვლევის გამოცემა ჩვენს ქვეყანაში პირველი შემთხვევაა. დიდი იმედი მაქვს, VII-XII კლასების გზამკვლევიც მალე გახდება ხელმისაწვდომი.

დანერგვის მესამე კომპონენტი ყველა ის დამატებითი სასწავლო რესურსია – დამხმარე ვიზუალური და აუდიომასალა, რაც ჩვენს სკოლებს ასე აკლია, რაც ჩემი გულისტკივილიცაა. ვიზუალურ მასალაში ვგულისხმობ სხვადასხვა ტიპის პლაკატებს, ცხრილებს, დიაგრამებს და ა.შ. რა თქმა უნდა, აუდიომასალა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით უცხოური ენების სწავლებისთვის, აგრეთვე, სხვადასხვა მასშტაბისა და თემატიკის რუკები და სხვ. არის რიგი მასალებისა, რომლის დეფიციტიც ნამდვილად აქვს სკოლებს, ეს კი დანერგვის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ვფიქრობთ, თუ როგორ შევქმნათ და როგორ გავხადოთ ხელმისაწვდომი ამ ტიპის მასალა საჯარო სკოლებისათვის.

დანერგვის პროცესში შემდეგი მიმართულება მონიტორინგი და კვლევაა. ჩვენ შეიძლება მოვამზადოთ გარკვეული მასალა, მაგრამ ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, რა ხდება უშუალოდ საკლასო ოთახში, როგორ ართმევს თავს მასწავლებელი ახალი სასწავლო გეგმის თითოეულ მოსწავლემდე მიტანას, რა უკუგება აქვს მასწავლებელს, ანუ როგორ ხდება მოსწავლის საკლასო შეფასება, როგორ მუშაობს პედაგოგი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების მიმართულებით, რა მეთოდებს იყენებს საგაკვეთილო პროცესში – სწორედ ეს არის მონიტორინგისა და კვლევის მიზანი.

მონიტორინგისა და კვლევის მიზანია, მასწავლებელს შევუწყოთ ხელი იმაში, რომ მან უკეთ შეძლოს ახალი სასწავლო გეგმის მიტანა მოსწავლემდე. მონიტორინგის დროს მასწავლებლებთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ და აღმოვაჩინოთ, რა არის დასახვეწი ან შესაცვლელი. ამით მასწავლებლებს დავეხმარებით და მივცემთ საშუალებას, მოსწავლის ცოდნის მიღების პროცესი მყარი, ფუნდამენტური, თანმიმდევრული და გრძელვადიანი გახდეს.

დანერგვის შემდეგი მიმართულება მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის საკონსულტაციო ჯგუფების ამოქმედებაა, რასაც ჩვენი დეპარტამენტი 2013 წლიდან გეგმავს. გვეყოლება მობილური ჯგუფები, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით ჩავლენ რეგიონებში და ადგილებზე იმუშავებენ მასწავლებლებთან კონკრეტულ საკითხებზე, კონკრეტულ მეთოდიკაზე – ტრენინგებისა თუ საკონსულტაციო შეხვედრების სახით.

ასეთი მრავალმიმართულებიანი დანერგვა ძალიან სერიოზულ საფუძველს ქმნის იმისა, რომ სასწავლო გეგმით დადგენილი შედეგები და კომპეტენციები იქნეს მიღწეული, გააზრებული და თითოეულ მოსწავლემდე სწორად მიტანილი, რაც თავისთავად, ნიშნავს, რომ ჩვენ განათლების ხარისხის ამაღლებაზე ვიმუშავებთ.

ჩამოთვლილი აქტივობების უმეტესი ნაწილი 2013 წელსაა დაგეგმილი – მონიტორინგი და კვლევა, საკონსულტაციო ჯგუფები და დამატებითი რესურსების ხელმისაწვდომობა. უკვე ვადგენთ სასწავლო რესურსების კლასიფიკატორს, რომელიც ასევე ღია იქნება და თითოეულ სკოლას შესაძლებლობა მიეცემა კლასისა და საგნის მიხედვით გაეცნოს მისთვის საჭირო მასალებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი დანერგვის მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესში მშობლების მოზიდვა და ჩართულობაა. ყველა ტიპის კვლევებით დადგენილია, რომ მშობელი, რომლისთვისაც ცოდნა და განათლება ღირებულებაა, ხელს უწყობს შვილის განათლების პროცესს და ბავშვსაც მაღალი აკადემიური და სოციალური შედეგები აქვს, ვიდრე მის თანატოლს, რომლის მშობელიც მოწყვეტილია შვილის სასწავლო და სასკოლო ცხოვრებას. ეს სამეცნიერო კვლევების დასკვნაა, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმებით. ჩვენც ჩავატარეთ ეროვნული შეფასებები 2009-2010 წლებში და მოსწავლის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ მშობლის ჩართულობა აღმოჩნდა. ვგეგმავთ გზამკვლევის შექმნას მშობლებისთვის, რაც ღია და ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული რესურსის სახით. დავიწყებთ, ასევე, შეხვედრების ციკლს მშობლებთან. შევეცდებით, აკუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა შვილების განათლების ხარისხის ამაღლებაში. მშობლის ჩართულობაში, პირველ რიგში, იგულისხმება ოჯახში ბავშვისთვის სასურველი გარემოს შექმნა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგანაც ნებისმიერ ოჯახში შეიძლება მოიძებნოს ბავშვის კუთხე. მნიშვნელოვანია, ასევე, საუბარი სწავლისა და ცოდნის ღირებულებებზე, სასკოლო აქტივობებში ჩართვა – ექსკურსიის დაგეგმვა ან სკოლის პერიმეტრის დასუფთავება და სხვ. ერთი მხრივ, ეს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას აღრმავებს, მით უფრო მოზარდობის ასაკში, მეორე მხრივ, ბავშვის თვითშეფასებასა და მის მოტივაციაზე დადებითად აისახება.

2011 წლიდან, როცა ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა დავიწყეთ, სამწუხაროდ, მონიტორინგი არ ჩატარებულა, არა იმიტომ, რომ ამის სურვილი არ გვქონდა. ბუნებრივია, სურვილიც გვქონდა და ამის საჭიროებასაც ვხედავდით, მაგრამ ამის პოლიტიკური ნება არ იყო. ახლა ამის შესაძლებლობა გვაქვს, რაც პირადად მე ძალიან მახარებს. რაც უნდა კარგი დოკუმენტი შევქნათ და საზოგადოებაც შეთანხმდეს იმაზე, რომ ეს დოკუმენტი მართლაც მოსწავლეების ცოდნის მიღებასა და უნარ-ჩვევების და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება, თუკი სასწავლო გეგმა თითოეულ მოსწავლემდე არ მივიდა, ანუ არ აღსრულდა, შეგვიძლია ეს დოკუმენტი მხოლოდ თაროზე შემოვდოთ და მერე დიდხანს ვიდარდოთ იმაზე, რომ განათლების ხარისხი ჩვენს სკოლებში არ არის მაღალი. იმისთვის, რომ განათლების ხარისხის ამაღლებას შევუწყოთ ხელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ სასწავლო გეგმა არ არის საკმარისი, ამას უამრავი თანმდევი და პარალელური პროცესი ახლავს, თუნდაც, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და სხვ. მაგალითად, როცა სასწავლო გეგმაში ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში, უბრალოდ სავალდებულოა, რომ ამისთვის გარკვეული ტიპის მცირე ლაბორატორია მაინც ჰქონდეს სკოლას. ბუნებრივია, ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

ყველა ჩამოთვლილი ინტერვენციით შევძლებთ განათლების ხარისხის ამაღლებას. კიდევ გავიმეორებ, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი, ცენტრალური ადგილი მასწავლებელს უჭირავს. განათლების ხარისხის ამაღლების პროცესში ყველაზე მეტად ხელი მასწავლებელს უნდა შევუწყოთ, არა მხოლოდ კონსულტაციითა და ტრენინგით, არამედ უნდა მივცეთ კარიერული ზრდის, პროფესიული განვითარების, ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება. მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული უნდა იყოს. ხშირად მოჰყავთ ფინეთის საგანმანათლებლო სისტემის მაგალითი, სადაც მასწავლებლობა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად ითვლება. ფინეთის სახელმწიფომ მასწავლებლის პროფესიაში საკმაოდ სერიოზული ფინანსური ინვესტიციები ჩადო.

როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი არსებობდა, ბუნებრივია, ნებისმიერ მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდა საშუალება, ჩვენი საგნობრივი ექსპერტებისგან მიეღო სატელეფონო კონსულტაციები, შეეძლოთ შეხვედრის დაგეგმვა და ა.შ. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, როცა იწყებოდა VII-XII კლასებში ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა, ამოქმედდა ცხელი ხაზი როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის სახით, ამის შესახებ ინფორმაცია ყველა რესურსცენტრს დავუგზავნეთ. იყო შემთხვევები, როცა დღეში 300 ზარი შემოდიოდა. ამან დაგვანახა იმის საჭიროება, რომ კონსულტაციებს უფრო ორგანიზებული სახე უნდა მისცემოდა. თითოეული რეგიონისა და იქ მოღვაწე მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი განრიგი, რის მიხედვითაც მათთან ვითანამშრომლებთ, რათა უკეთ შეძლონ თავიანთი საქმიანობის დაგეგმვა. აუცილებელია, მათ იცოდნენ, რომ ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო გეგმებისა და საგნობრივი ექსპერტებისაგან, ადმინისტრაციული ჯგუფის წარმომადგენლების, დანერგვის ექსპერტებისა და განათლების ფსიქოლოგებისაგან, რომლებთანაც შეეძლებათ კონსულტაციების მიღება არა მხოლოდ დაგეგმილი შეხვედრების დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე ჩვენი დეპარტამენტისთვის, რადგანაც გარკვეული ტიპის კვლევაა, რომელიც დაგვანახებს, თუ რა კითხვებს სვამენ მასწავლებლები, რა მიმართულებით გვჭირდება საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება, რა მიმართულებითაა აუცილებელი დამატებითი ინტერვენცია, მაგალითად, გზამკვლევის შექმნა ან რომელიმე კონკრეტულ საკითხზე უფრო საფუძვლიანი ტრენინგის მომზადება და ა.შ.

დავუბრუნდები სახელმძღვანელოების თემას და კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ სახელმძღვანელო აუცილებლად უნდა იყოს შედგენილი სასწავლო გეგმების მოთხოვნების მიხედვით. 2011 წელს I-VI კლასების სახელმძღვანელოების შეფასების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა განახორციელა. შეფასებაში მონაწილეობდნენ როგორც ცენტრის საგნობრივი ექსპერტები, ისე გარედან მოწვეული საგნობრივი მასწავლებლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები. მას შემდეგ, რაც ცენტრის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, სახელმძღვანელოების გრიფირების ფუნქცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მთლიანად გადაეცა. შესაბამისად, VII-XII კლასების სახელმძღვანელოების გრიფირება ამ ცენტრმა განახორციელა. სამწუხაროდ, ამ პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს, რადგან ეს ჩვენი კომპეტენცია აღარ არის. შესაბამისად, არც მონაწილეობა მიგვიღია გრიფირების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ეს იცოდეს, რადგანაც ხშირად და ლოგიკურადაც, ისევ ჩვენთან შემოდის კითხვები გრიფირების შესახებ. ვწუხვარ, რომ უფრო ფუნდამენტური და დეტალური პასუხების გაცემა არ შემიძლია. ვისაც VII-XII კლასების სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებით აინტერესებს ინფორმაცია, უნდა მიმართოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

კიდევ ერთი თემა, რომელიც 2013 წელს იქნება აქტუალური, სკოლამდელი განათლების კომპონენტია. საუბარია სასწავლო პროგრამებზე, მეთოდოლოგიურ რესურსებზე მასწავლებლებისთვის, მუნიციპალიტეტების ხელშეწყობაზე, თუ როგორ დანერგონ საბავშვო ბაღებში სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა. 2013 წელს, ამ მიმართულებით, ძალიან სერიოზულ და ინტენსიურ მუშაობას ვგეგმავთ.

აქტუალური თემა

გამოკითხვა

როგორ დავძლიოთ სკოლებში დისციპლინარული პრობლემა

მაკა ყიფიანი

ნინო ჩიქოვანი
30-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

მივესალმები მინისტრის ახალ ინიციატივას. სკოლიდან ბავშვის გარიცხვა გამოსავალი ნამდვილად არ არის. ეს საკითხი სკოლაში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემად დგას, რადგან არის ისეთი გადაულახავი წინააღმდეგობები, რომ იძულებული ხარ მოსწავლე სკოლიდან გარიცხო. ჩემი დირექტორად მუშაობის პერიოდში სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის ორი შემთხვევა მქონდა. მე-12 კლასელები გავრიცხე, გამოსავალი არ დამიტოვეს, რა არ ვცადე პედაგოგებთან ერთად, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მათზე არაფერმა არ იმოქმედა, კლასში დატოვება კი შეუძლებელი იყო. პრობლემის დაძლევაში ვერც მშობლები დაგვეხმარნენ.

ზოგადად, ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში აუცილებლად უნდა მუშაობდეს. ჩვენ გვყავდა ფსიქოლოგი, ძალიან კარგად მუშაობდა არა მარტო ბავშვებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან. ამ ეტაპზე, ფსიქოლოგი არ გვყავს – შეგვიმცირეს. ჩემი დიდი სურვილი იყო და არის არა თუ ერთი, არამედ თითოეულ საფეხურს თავისი ფსიქოლოგი ჰყავდეს. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა სკოლას ნამდვილად არ აქვს.

სკოლაში არა მარტო ფსიქოლოგი, არამედ ექიმი (ექთანი) და ბიბლიოთეკარიც უნდა დაბრუნონ. საერთოდ, სკოლაში უნდა გაჯანსაღდეს სიტუაცია. არადისციპლინებული მოსწავლე არა მარტო სკოლის, არამედ საზოგადოების, სოციუმის პრობლემაა. ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონის არსებობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოზარდების ფსიქიკაზე. ხშირად, მათი აგრესიის მიზეზი სწორედ ეს არის. სკოლიდან გარიცხვა არა მარტო მოსწავლისთვის, არამედ, პირველ რიგში, პედაგოგებისთვისაა დიდი სტრესი. ეს ხომ პედაგოგის მარცხია. პრობლემა რომ უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ, აუცილებელია, გაიზარდოს მშობლების პასუხისმგებლობა, ისინი სკოლას გვერდში უნდა დაუდგნენ, გაგებით მოეკიდონ თავიანთი შვილების პრობლემას. თუ უდისციპლინო მოსწავლეზე არანაირი მიდგომა არ ჭრის, მისი წასვლა სკოლიდან უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს. ხშირად, რთული მოზარდისთვის აუცილებელიც კია გარემოს შეცვლა. ყოფილა შემთხვევა, როცა მშობლისთვის მირჩევია, სხვა სკოლაში გადაეყვანა შვილი. სამწუხაროდ, ხშირად მშობელიც ვერ აანალიზებს პრობლემას და პედაგოგის რჩევას გაგებით ვერ ეკიდება. ძალიან ხშირად რთული მოსწავლეების არადისციპლინარულ ქცევებს ოჯახური ფაქტორი განაპირობებს – ისინი არასტაბილური ოჯახებისა და სოციალური დაუცველობის მსხვერპლნი ხდებიან. მინდა გითხრათ, რომ მარტო სკოლას თუ დაეკისრება პასუხისმგებლობა რთულ მოსწავლეებზე, პრობლემა გადაუჭრელი დარჩება და შეიძლება სავალალო შედეგებამდეც მივიდეთ. მშობლის, ფსიქოლოგის, პედაგოგის ერთობლივი მუშაობით, ვფიქრობ, მივაღწევთ სასურველ შედეგს, თუმცა იმისათვის, რომ სკოლამ უდისციპლინო მოსწავლე შეინარჩუნოს, დიდი სამუშაოების გაწევა იქნება საჭირო და ბევრი ფაქტორის გათვალისწინება.

ეთერ რუსიეშვილი
30-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ფსიქოლოგი ძალიან გვეხმარებოდა არადისციპლინებულ ბავშვებთან მუშაობაში. ვერ ვიტყვი, რომ რთული ბავშვები მხოლოდ ისინი არიან, ვინც არ სწავლობენ. არა, არადისციპლინებული მოსწავლე ზოგჯერ ისეთ კარგ თვისებას ამჟღავნებს, რომ გაოცდებით. ფაქტორი, რასაც ძნელად აღსაზრდელი ჰქვია, განპირობებულია ოჯახური მდგომარეობით, სოციალური პირობებით. რთული, დამთრგუნველი, არასტაბილური გარემო ხდება ხშირად იმ აგრესიის მიზეზი, რომელსაც მოსწავლე თანაკლასელების, მასწავლებლების მიმართ ამჟღავნებს. ცუდი ბავშვი არ არსებობს, ასეთად არ იბადება. მას წარმოშობს ის გარემო პირობები, რომელშიც უხდება ყოფნა. მოსწავლის გარიცხვით სკოლა ფიზიკურად შეიძლება თავისუფლდება, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის. იცით, ეს როგორი განსაცდელია პედაგოგისთვის? წარმოიდგინეთ, სად ვუშვებთ ასეთ ბავშვს, რა გარემო ელოდება, როგორ გააგრძელებს და დაიმკვიდრებს თავს უცხო გარემოში, იქნებ დაიღუპოს კიდეც. საბედნიეროდ, მე არ მქონია ასეთი შემთხვევა და ამიტომ მიჭირს ამაზე საუბარი.

ის ფაქტი, რომ მოსწავლეები სკოლიდან აღარ გაირიცხებიან, მისასალმებელია, მაგრამ ვფიქრობ, პედაგოგებს მეტი შრომა და ძალისხმევა მოგვიწევს ამ პრობლემის დასაძლევად. გაკვეთილზე მოსწავლის დისციპლინას ბევრი რამ განაპირობებს. კერძოდ, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მოსწავლეთა სიმრავლეა. 30-35 მოსწავლესთან შეუძლებელია სასწავლო პროცესი ხარისხიანად წარიმართოს. ასეთ კლასში, რა თქმა უნდა, დისციპლინის მართვა ძალიან ძნელია. მნიშვნელოვანია ასევე, სოციალური პირობები, თუ ზოგადად ქვეყანაში არ მოწესრიგდა სოციალური პრობლემები, ვერც სკოლაში გვექნება იდეალური გარემო. დადებითი შედეგის მომტანია მოსწავლეების, მით უმეტეს რთული მოსწავლეების, კლასგარეშე და სკოლის გარეშე საქმიანობაში ჩართვა. ეს ტრადიცია სკოლაში აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს. მოზარდებთან აღმზრდელობითი სამუშაოების ჩატარება პრობლემის დაძლევაში უსათუოდ დაგვეხმარება. მთავარი ფაქტორი კი, მშობელსა და მასწავლებელს შორის კავშირია. თუ ოჯახი და სკოლა ერთმანეთს დაუდგება გვერდში, სასურველი შედეგი აუცილებლად გვექნება.

მანანა შველიძე
30-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი:

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა მიჭირს. ძალიან რთული და, ამავე დროს, აქტუალური საკითხია. პრობლემის გადასაჭრელად არც რთული მოსწავლის სკოლიდან გაშვებაა გამოსავალი და არც მისი სკოლაში დატოვება. არის კლასები, სადაც გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელია. მათთან არაფერი ჭრის. დაიბარებ მშობელს და ხედავ, რომ მშობელი უსუსურია შვილის წინაშე. რა ქნას მასწავლებელმა? როგორ ჩაატაროს გაკვეთილი?

სკოლაში იდეალური გარემო რომ შევქმნათ, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ძირფესვიანად შესაცვლელია გარემო, რომელშიც მოსწავლე თითქმის მთელ დღეს ატარებს. ვფიქრობ, 10 კლასი არ უნდა იყოს სავალდებულო. მეცხრე კლასში მკაცრი გამოცდები უნდა ჩატარდეს და ის მოსწავლეები, რომლებსაც არ სურთ სწავლა ან ვერ სწავლობენ, სკოლიდან უნდა წავიდნენ. ეს უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს და მოსწავლეს სკოლიდან წასვლის შემდეგ პროფესიული განათლების მიღების საშუალება უნდა მიეცეს.

ხარისხიანი გაკვეთილის ჩასატარებლად და დისციპლინებული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მცირეკონტინგენტიანი კლასები. სადაც 35 ბავშია და აქედან მხოლოდ 5 მოსწავლე სწავლობს, დანარჩენისთვის კი სწავლა არ არის პრიორიტეტი, პრობლემა, რა თქმა უნდა, იარსებებს. რა ქნას მასწავლებელმა? თანაბარი სიმძიმის პრობლემაა ბავშვის გარიცხვაც და არგარიცხვაც. რას ვერჩით დანარჩენ მოსწავლეებს? ვფიქრობ, ფსიქოლოგი ნაწილობრივ დაძლევს ამ პრობლემას, დისციპლინურ დარღვევებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული მუშაობაა საჭირო. აუცილებელია, ჩატარდეს კომპლექსური სამუშაოები. ამ პრობლემას ძალიან ფაქიზად უნდა მოვეკიდოთ, არ მოხდეს ისე, რომ ერთი რთული მოსწავლის გამო, პირობითად, 30 მოსწავლე ვაზარალოთ.

ქეთინო ვაზაძე
23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

მივესალმები მინისტრის ინიციატივას, მიდგომას, რომ მან არსებული პრობლემების გადაჭრა პედაგოგებთან თანამშრომლობით დაიწყო, მათი მოსაზრებების გაზიარებით. რაც შეეხება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის საკითხს, გეტყვით, რომ ეს გამოსავალი არ არის. კომპლექსური მიდგომაა საჭირო, ყველა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის პრევენციული ზომები. ამიტომ პრევენციულ ზომებზე უნდა ვიფიქროთ, გარიცხვამდე საქმე არ უნდა მივიყვანოთ. პირველ რიგში, უნდა შეიკრას სამკუთხედი – მშობელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ეს უცილობელი პირობაა იმისა, რომ გარკვეული მიზნისკენ წავიდეთ. არის შემთხვევები, როცა მშობელი, სკოლა და მოსწავლე ცალ-ცალკე არიან. ეს არ უნდა დავუშვათ. მშობელი აქტიურად უნდა ჩერთოს სკოლის ცხოვრებაში, უნდა ითანამშრომლოს მასწავლებელთან. ერთი პერიოდი სკოლაში „მშობელთა საკრებულო“ შევქმენით, რომელიც ხელს უწყობდა მშობელთა პედაგოგიზაციას. მშობლისთვის გამჭვირვალე რომ ყოფილიყო ის სოციუმი, რომელშიც მისი შვილი თითქმის მთელ დღეს ატარებს. მშობელს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს გაკვეთილზე დასწრება, რათა ნახოს სწავლების სტილი, გაეცნოს საკუთარი შვილის ქცევას და აქტივობას. ზოგჯერ მშობლები ისე კარგად არ იცნობენ შვილებს, როგორც მასწავლებელი. სწორი მიდგომა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. მაგალითად, ჩვენ ვასწავლით მოსწავლეს, რა ევალება მას, რისი უფლება აქვს, ვაჩვევთ თავისუფლებას, მაგრამ არ ვაცნობიერებინებთ ამ სიტყვის არსს. როგორც მინისტრმა ბრძანა „თავისუფლება გარკვეული პასუხისმგებლობაა“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლას სოლიდური პასუხისმგებლობა ეკისრება, იცოდეს და მართოს ხარისხიანი მენეჯმენტით; აუცილებელია, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომა, სრულყოფილი სასწავლო ესთეტიკური გარემოს შექმნა. მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა რესურსი სტრატეგიების განსახორციელებლად, რომელიც სასწავლო პროცესის სრულყოფისაკენაა მიმართული. ყოფითი პრობლემები დიდ გავლენას ახდენს როგორც მოსწავლის, ასევე პედაგოგის სულიერებაზე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ხშირად მოსწავლეს სახლში არ აქვს სასწავლო პირობები, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არც მასწავლებელია უზრუნველყოფილი ყოფითი პირობებით, სოციალურად, მატერიალურად და ა. შ. საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მარტო ფსიქოლოგის მუშაობა სკოლაში დისციპლინარულ პრობლემებს ვერ მოხსნის. ამ პროცესებში ფსიქოლოგის ჩართვა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და მივესალმები კიდეც, მაგრამ მოსწავლესთან ფსიქოლოგის ინდივიდუალური მუშაობის გარდა ბევრი სხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია როგორ მართო სკოლა, როგორი სტრატეგია აირჩიო, რა კუთხით წაიყვანო სკოლის მენეჯმენტი როგორც სასწავლო-შინაარსობრივი, ასევე დისციპლინარული. ამ საკითხს კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

დამერწმუნეთ, არც ერთ მასწავლებელს არ უხარია რთული ბავშვის სკოლიდან გარიცხვა. იცით, დისციპლინარული პრობლემები განსაკუთრებით მეცხრე კლასის შემდეგ რატომ იჩენს თავს? იმიტომ, რომ ძირში, დაწყებითებში არ ვეძებთ პრობლემას. თვიდანვე გარკვეული სტრატეგია უნდა იქნეს შემუშავებული. ამიტომ მეტი აღმზრდელობითი მუშაობაა საჭირო, რაც სკოლამ დიდი ხანია დაივიწყა. თუმცა ამ კუთხით სკოლაში გვაქვს პრაქტიკა მთელი რიგი ღონისძიებებისა: ურთიერთობა და თანამშრომლობა კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტებთან, მუზეუმებთან, საპატრიარქოსთან. აუცილებელია სკოლაში ფუნქციონირებდეს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დებატ-კლუბები. როგორც პატრიარქი ბრძანებს სწორედ სკოლაში ეყრება საფუძველი ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და მრავალმხრივ ჩამოყალიბებული მოქალაქის აღზრდას, რომელსაც კარგად ექნება გათვითცნობიერებული ფორმულა – ტრადიციას პლუს ნოვაცია, ანუ ტრადიციულ ღირებულებებზე აღზრდილი და ადვილად მიმღები ყველა საჭირო ნოვაციისა, აღბათ, ეს არის ერთ-ერთი მისია დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცის, კერძოდ სკოლის.

კლასში მოსწავლეთა სიმრავლე ერთ-ერთი პრობლემაა, ეს არა მარტო დისციპლინარულ პრობლემებს წარმოშობს, არამედ მოსწავლეების შემეცნებითი და ანალიტიკური აღზრდის ხელშემშლელი ფაქტორია. კლასის დაკომპლექტების დროს გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ იყოს. გადატვირთული კლასები ნეგატიურ გავლენას ახდენენ სასწავლო პროცეზე, რაც ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია დისციპლინარული პრობლემის წარმოქმნის.

და კიდევ ერთი, ეს პრობლემა დამოკიდებულია სოციუმზე – როგორია სოციუმის გავლენა მოზარდ თაობაზე? ტელევიზია, კომპიუტერთან მიჯაჭვულობა, მით უმეტეს მაშინ, თუკი ეს კონტროლირებადი არ არის. ხშირად მშობელმა არ იცის, რას უყურებს ან რას კითხულობს მისი შვილი.

დისციპლინარულ პრობლემას კიდევ არაერთი ფაქტორი განაპირობებს, ეს არ არის იოლად მოგვარებადი პრობლემა. ამიტომ სერიოზული დაფიქრება, მსჯელობა და განსჯაა საჭირო კომპეტენტური ადამიანების მხრიდან, თუ როგორ დავძლიოთ და აღმოვფხრათ სკოლაში დისციპლინარული პრობლემები, რამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მოუტანოს არა მარტო სკოლას, არამედ მთლიანად საზოგადოებას.

მაია მენაგდიშვილი
23-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე
სასწავლო აღმზრდელობით დარგში:

დისციპლინარული საკითხი მარტო სკოლის კი არა, სახელმწიფოს პრობლემაა. რთული ბავშვი არ იბადება. არადისციპლინებულ ბავშვს საზოგადოება, სოციალური გარემო წარმოშობს. ზოგიერთი მოზარდი მშიერი, მწყურვალი, ფეხშიშველი მოდის სკოლაში, ზოგს სახელმძღვანელო არა აქვს, ზოგს – თავშესაფარი, უმეტესობას ოჯახში არასტაბილური გარემო აქვს – მშობლების გაუთავებელი ჩხუბი, აყალ-მაყალი. ეს და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს ბავშვის აგრესიას. არადისციპლინებული ბავშვი შეიძლება სწავლობდეს კიდეც, მაგრამ იყოს აგრესიული, უზრდელი. ამას ემატება გარდატეხის ასაკი. მაღალ კლასებში ძალიან რთულია მათი მართვა. პედაგოგი ხშირად უძლურია მსგავსი პრობლემის წინაშე. მისი გადაწყვეტა ადვილი არ არის, კომპლექსური სამუშაოა ჩასატარებელი. ამ პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა არა მარტო ფსიქოლოგმა, არამედ მასწავლებელმა და მშობელმა ერთობლივად უნდა იმუშაონ რთულად აღსაზრდელ მოსწავლეებთან. თუ საჭიროა, მოზარდი უნდა დაისაჯოს კიდეც, მაგრამ სკოლიდან გარიცხვა გამოსავალი არ არის. რა თქმა უნდა, მივესალმები სამინისტროს ინიციატივას, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად საკმაოდ სერიოზული და ერთობლივი სამუშაოს ჩატარება მოუწევს როგორც სკოლას, ფსიქოლოგს, მშობელს, ასევე, ვფიქრობ, მთლიანად საზოგადოებას.

ნანა მონიავა
63-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

ჩემთვის მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა სავსებით მიუღებელი გადაწყვეტილება იყო და არის. ამიტომ, მივესალმები მინისტრის ახალ ინიციატივას. მიმაჩნია, რომ სკოლაში არა მარტო ერთი, არამედ ფსიქოლოგთა ჯგუფი უნდა მუშაობდეს. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შესაბამისი სპეციალისტი უნდა ხელმძღვანელობდეს. არსებობს სკოლაში ფსიქოლოგების მუშაობის გამოცდილება, ისინი პროცესში მხოლოდ მაშინ ერთვებოდნენ, როდესაც პრობლემა წარმოჩნდებოდა და უკვე ყველასთვის თვალნათელი ხდებოდა, ასე ვთქვათ, უკიდურეს მდგომარეობაში. ეს არ არის სწორი მიდგომა. მიმაჩნია, რომ პირველი კლასიდან, უნდა დავიწყოთ ბავშვის შესწავლა, მასზე ფსიქოლოგისა და მასწავლებლის ერთობლივი დაკვირვება – როგორ ვითარდება, რა პრობლემები აქვს, რისი დაძლევა უჭირს, როგორი ურთიერთობა აქვს თანაკლასელებთან და ა.შ. თავიდანვე ასეთი მიდგომა შემდგომში პრობლემის მარტივად გადაწყვეტაში დაგვეხმარება. საბედნიეროდ, ჩვენს სკოლაში, ამ მხრივ, სერიოზული შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა, თუკი რომელიმე კლასში მსგავსი პრობლემა წამოიჭრება, პირველ რიგში, მშობელს ვაყენებთ საქმის კურსში. ასეთ შემთხვევაში, ვცდილობთ ვიმუშაოთ არა მარტო კონკრეტულ ბავშვთან, არამედ მთელ კლასთან, ვარკვევთ მიზეზს, საიდან მოდის მოზარდის აგრესია. როგორც წესი, უდისციპლინო

→ 6

აქტუალური თემა

ბავშვს ყველა გაკვეთილზე არ აქვს პრობლემა. კონკრეტული მოსწავლის მიმართ ზოგიერთი მასწავლებელი უარყოფითადაა განწყობილი, ამავე დროს, არიან მასწავლებლები, რომლებიც ამავე ბავშვში ბევრ დადებითს ხედავენ. ამიტომ, საჭიროა სწორად მივუდგეთ საკითხს. გავარკვიოთ, რა განაპირობებს მოსწავლის ცუდ ქცევას. მარტო კლასის დამრიგებელი პრობლემას ვერ დაძლევს. ასეთ მოსწავლესთან დამატებითი სამუშაოა ჩასატარებელი. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდ დახმარებას გაგვიწევს ფსიქოლოგი. საბედნიეროდ, ჩემი დირექტორობის პერიოდში სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის არც ერთი შემთხვევა არ მქონია. თუკი დირექტორი იძულებულია, მსგავსი ქმედება ჩაიდინოს, მაშინ უნდა აუხსნას და დაარწმუნოს მოზარდი იმაში, რომ გადაწყვეტილება სამართლიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოზარდის სკოლიდან გარიცხვას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. ზოგადად, ქცევის კორექცია უფრო რთულია, ვიდრე პრევენცია. ამ პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა, მშობლებთან აქტიური მუშაობაა საჭირო. ბავშვის განვითარებას პირველივე კლასიდან უნდა აკვირდებოდეს მშობელი და მხოლოდ შეფასების ქულით არ უნდა ინტერესდებოდეს.

დისციპლინის თვალსაზრისით, კლასებში მოსწავლეთა სიმრავლე, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია, სიმრავლე განათლების ხარისხზეც უარყოფითად ისახება. არნაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეების ჩართვა დამატებით, კლასგარეშე საქმიანობებში. მაგალითად, ჩვენს სკოლაში მუშაობს პროექტი, რომელიც წიგნიერებაზეა ორიენტირებული. V- VII კლასელებისთვის ტარდება დამატებითი მეცადინეობები ქართულში, მათემატიკაში, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, ზოგადად – სოციალურ ქცევებზე. ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლეები, რომლებსაც ამა თუ იმ მიმართულებით გარკვეული პრობლემა აქვთ, ძალიან ღიად საუბრობენ სპეციალისტებთან ამის შესახებ, მათთან ასევე მუშაობს ფსიქოლოგი. ასე რომ, სკოლამ, მასწავლებელმა თვითონ უნდა გამონახოს გზები და გამოსავალი, რათა მოსწავლეები მეტად დააინტერესონ. ბავშვს უნდა დავანახოთ, რა შეუძლია. სწორი დამოკიდებულება აუცილებლად მოგვცემს სასურველ შედეგს.

ნანა მელაძე
63-ე საჯარო სკოლის
დირექტორის მოადგილე:

სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა გამოსავალი რომ არ არის, ეს უდავოა, მაგრამ როგორ დაძლევს და მოაგვარებს ამ პრობლემას სკოლა, ამაზე ალბათ სერიოზული დაფიქრება მოგვიწევს. ფსიქოლოგის, მასწავლებლისა და მშობლის ერთობლივი მუშაობა შედეგიანი იქნება. მართალია, რთულია უდისციპლინო მოსწავლესთან ურთიერთობა, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მოსწავლის სოციუმიდან მოწყვეტას არანაირი გამართლება არ აქვს. ჩვენი მოვალეობაა, როგორმე სკოლაშივე დავძლიოთ ეს პრობლემა. მოზარდის უდისციპლინობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს – პირველ რიგში, ოჯახური გარემო, სოციალური პირობები, კლასში მოსწავლეთა სიმრავლეც დისციპლინის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. უდისციპლინობას ყველაზე მეტად ბავშვები IX-X კლასებში ამჟღავნებენ, ეს ურთულესი პერიოდია და დიდი ძალისხმევაა საჭირო ამ პრობლემის დასაძლევად. უმეტეს შემთხვევაში, უდისციპლინო მოსწავლეები, რა თქმა უნდა, დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები არიან. თემა იმდენად რთულია, რომ ფართო განხილვას მოითხოვს. იმედია, ამ პრობლემის დაძლევას სკოლა უმტკივნეულოდ მოახერხებს.

თინათინ ალავიძე
175-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დირექტორად მუშაობის პერიოდში რთული მოსწავლე არ მყოლია. ზოგადად, დანაშაულის ფენომენის გაქრობაზე საუბარი და შეუძლებელია. მთავარია, რა ღონისძიებებს ატარებ იმისათვის, რომ არ მოხდეს დისციპლინარული გადაცდომა. სკოლაში მანდატურების შემოსვლამ ნამდვილად მოაგვარა დისციპლინის პრობლემა, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი ქმედებები ერთჯერადია. თუ შიშის გამო არ იქცევა მოსწავლე უდისციპლინოდ, როგორც კი გათავისუფლდება შიშისგან, შეიძლება უარესიც გააკეთოს. სკოლაში სისტემურ აღზრდაზე უნდა იყოს საუბარი. კარგი იქნება, თუ აღზრდის პროცესში ერთობლივად ჩაერთვება სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. სკოლა საზოგადოების წევრია, იცით, რამხელა აგრესია მოდის საზოგადოებისაგან? რაც თავისთავად აისახება მოსწავლეზე. მოზარდების ფსიქიკაზე ძალიან დიდ და უარყოფით გავლენას ახდენს ტელევიზია, აგრესიული ინტერნეტთამაშები, ფილმები. ყველაფერი ისე თუ აეწყო, რომ ერთიანობაში მომართული იყოს ახალგაზრდობის ჯანსაღი აღზრდისაკენ, მაშინ ნაკლები იქნება მოზარდთა დანაშაული, უდისციპლინობა.

მე არასოდეს გამირიცხავს მოსწავლე სკოლიდან, თუმცა მქონია შემთხვევა, როცა მშობლისთვის მირჩევია, რომ მისი შვილისთვის გარემოს გამოცვლა სჯობს. როცა მშობელი გაგებით ეკიდება ჩემს რჩევას, შედეგიც სასურველი გვაქვს. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად მშობლები ასეთ შეთავაზებებს გაგებით ვერ ეკიდებიან. ამ პრობლემის გადასაჭრელად სკოლამ გამოსავალი თავად უნდა იპოვოს. პირველ რიგში, აუცილებელია კვალიფიციური ფსიქოლოგი, რომელმაც უნდა ასწავლოს ბავშვს, როგორ მოიქცეს კონფლიქტურ სიტუაციაში, როგორ მართოს თავისი ქცევა, როგორ მოახერხოს სოციუმში თვითდამკვიდრება. ფსიქოლოგის შერჩევა სწორად უნდა მოხდეს, ისეთი კადრი უნდა მოვიდეს, ვინც კარგად იცნობს სასწავლო გარემოს, იცის რა პროგრამებით იმუშაოს ასეთ ბავშვებთან. ასევე საჭიროა უდისციპლინო მოსწავლეების აქტიური ჩართვა კლასგარეშე ცხოვრებაში. ის, რომ აუცილებლად (თავსმოხვეულად) უნდა იყოს სკოლაში მანდატური ან ფსიქოლოგი, ვფიქრობ, არასწორი მიდგომაა. სკოლამ საჭიროებისამებრ უნდა გამოიყენოს ესა თუ ის სერვისი.

მოსწავლეთა უდისციპლინობას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, შეიძლება მოსწავლის ქმედება წმინდა დისციპლინარული ხასიათის იყოს, შეიძლება მას, უბრალოდ, რომელიმე საგანი, ან თუნდაც მასწავლებელი, არ მოსწონდეს, ან მისი უდისციპლინობა გამოწვეული იყოს ოჯახური ფაქტორით.

როდესაც მოსწავლე გაიგებს, რომ უდისციპლინობის გამო სკოლიდან აღარ გაირიცხება, შეიძლება კიდევ უფრო გათამამდეს. ამიტომ, ჩვენ დროულად უნდა დავიწყოთ სისტემური მუშაობა – დროულად უნდა მოხდეს სწორი ჩარევა მშობლის, მასწავლებლის, ფსიქოლოგის მხრიდან მოზარდის განვითარებაში. სასურველია, კლასები 25 მოსწავლით დაკომპლექტდეს, ეს იდეალური ვარიანტია ხარისხიანი სწავლებისა და დისციპლინის დაძლევის თვალსაზრისით.

საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა კლუბური საქმიანობის ამოქმედება სკოლაში. ამ კუთხით, ჩვენთან ძალიან კარგად მუშაობს „სამოქალაქო კლუბი“. სერიოზულად უნდა დაისვას მშობლებთან ურთიერთობის საკითხი. მშობელი მეტი გაგებით და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს პრობლემას, რომლის წინაშეც დგას მისი შვილი.

ცარო მაისურაძე
175-ე საჯარო სკოლის
გეოგრაფიის მასწავლებელი:

წლების განმავლობაში ვიყავი სკოლის სადისციპლინო კომისიის წევრი. არასოდეს დაგვიყენებია საკითხი ამა თუ იმ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ. ვცდილობდით, მშობელი დაგვერწმუნებინა, რომ შვილი სხვა სკოლაში გადაეყვანა, ხშირად ბავშვზე გარემოს შეცვლა დადებითად მოქმედებს. ვფიქრობ, ასეთ მოსწავლეებთან აუცილებელია კლასის ხელმძღვანელის, ფსიქოლოგის და მშობლის აქტიური მუშაობა. სწორი მიდგომით შევძლებთ ამ პრობლემის დაძლევას. სასურველია, შემცირდეს კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა, მაქსიმუმ, 25 მოსწავლეზე მეტი არ უნდა იყოს, ასევე გასათვალისწინებელია პედაგოგის ხელშეწყობა, მას 15 საათზე მეტი განაკვეთი არ უნდა ჰქონდეს.

თვალსაზრისი

ზოგადი განათლების „ქართული ვერსია“
გავხსნათ შესაძლებლობების ახალი ფანჯარა

ქართულ მენტალობას დღემდე ვერ გადაუხარშავს და ვერ შეგუებია თორმეტწლიან სწავლებაზე გადასვლას, იმას, რომ სკოლაში შეიძლება იაროს ორსულმა მოსწავლემ ან ახალგაზრდა მამიკომ! იმას, რომ სკოლაში დაოჯახებული მოსწავლის გვერდით იჯდეს მისი შვილი! ამ შეუგუებლობას ზურგს უმაგრებს ჩვენი ისტორიული მეხსიერება, როდესაც მშობლების თაობა სწავლობდა ათი წელი და სწავლობდა უფრო რთული პროგრამით, ვიდრე ახლანდელი თაობა. ალბათ, ამ მიუღებლობის ერთგვარი დაკმაყოფილების მცდელობაა ქართული განათლების ბრიტანულ რელსებზე გადაყვანის დაანონსებული განცხადებაც. მაგრამ სანამ ეს განხორციელდება, იქნებ განვიხილოთ ზოგადი განათლების „ქართული ვერსია“, დავარქვათ ასე პირობითად. მისი მთავარი „ხიბლი“ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს მოსწავლეებს გავუხსნათ შესაძლებლობის ახალი ფანჯარა და მივცეთ მათ საშუალება, თორმეტწლიანი განათლების ფარგლებში /რაც საქართველოს არ ამოაგდებს ბოლონიის პროცესიდან/, ზოგადი განათლება მიიღონ ათი ან თერთმეტი წლის განმავლობაში, ანუ სკოლა დაასრულონ ჩვეულებრივზე ერთი ან ორი წლით ადრე, როგორც მათ სურთ! ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს. მისი ამოქმედება შეიძლება მინიმალურად მოკლე დროში და იძლევა მაქსიმალურ ეფექტს.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს? დღემდე საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე იცნობს ორი სახის ექსტერნატს: ა) ასაკობრივ ექსტერნატს /ნებაყოფლობითი/ და ბ) დისციპლინურ ექსტერნატს /სავალდებულო/.

ასაკობრივი ექსტერნატი გამოიყენება მხოლოდ იმ მოსწავლეების მიერ, რომლებიც ასაკით უსწრებენ შესაბამის კლასებს.

დისციპლინური ექსტერნატი კი, იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც გადააჭარბეს გაცდენების დადგენილ ზღვარს და აქვთ შეფასების პრობლემა.

ჩვენს კანონმდებლობაში არის კიდევ ერთი ფრაგმენტი და ბუნდოვანი ჩანაწერი, რომლითაც ექსტერნატის ჩაბარების უფლება ეძლევათ ე.წ. „ვუნდერკინდებს“, ოღონდ ამ ნორმით დღემდე არავის უსარგებლია და არც არავინ იცის, როგორ ისარგებლოს. ეს ნორმა დაბადებიდანვე „მკვდრადშობილია“.

ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ მესამე ტიპის ექსტერნატს ე.წ. „პროგრამულ ექსტერნატს“, რომლის გამოყენებაც შეეძლება ნებისმიერ მოსწავლეს პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით, მიუხედავად ასაკისა. აქ მთავარია შესაბამისი კლასის ცოდნა და მეტი არაფერი. როდესაც ჩვენ ამ წინადადებით მივმართეთ ყოფილ განათლების მინისტრს, მისი პასუხი იყო სისტემის მოუმზადებლობა და ასეთი გადაწყვეტილება „დაანგრევდა“ ზოგადი განათლების სისტემას! ვნახოთ, ახლა როგორ „დაანგრევს“ განათლების სისტემას ასეთი ექსტერნატი.

ა) **ვინ უნდა ჩაატაროს გამოცდები?** – ჩვენი აზრით, გამოცდები უნდა ჩაატაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა და სკოლამ. პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით, უპრიანია, გამოცდები მხოლოდ სკოლამ ჩაატაროს. ხოლო V-XII კლასების გამოცდები ძირითად 8 ან 9 საგანში – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, არჩევით საგნებში კი – სკოლამ. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას დავტოვებთ მარტო აღნიშნული პროცედურის პირისპირ, ის ვერ გაუძლებს სხვადასხვა მიმართულებიდან ზეწოლებს და მართლაც „დაინგრევა“ სისტემა /გავითვალისწინოთ ჩვენი მენტალობა და რეალობა/. იმ შემთხვევაში, თუ „ნაიკი“ უარს იტყვის სახელმწიფოს ასეთი შეკვეთის შესრულებაზე, საჭირო იქნება ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებული კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციის გამოვლენა, რომელიც ამ შეკვეთას შეასრულებს და ჩაანაცვლებს „ნაიკს“.

ბ) **პროგრამული ექსტერნის მსურველთა რეგისტრაციის დრო** – ახალი სასწავლო წლის დასაწყისი, 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. დამატებითი რეგისტრაცია – 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე.

გ) **პროგრამული ექსტერნატის ჩატარების დრო** – მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გამოცდების ჩატარების ყველაზე შესაბამისი დრო იქნება – 10 ივნისიდან 1 ივლისამდე და 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. ეს არის ძველი სასწავლო წლის დასრულებისა და ახალი სასწავლო წლის დასაწყისი.

დ) **პროგრამული ექსტერნატის ჩატარების ადგილი** – სკოლის კომპიუტერული კლასები, ან „ნაიკის“ საგამოცდო ცენტრები, ან ალტერნატიული ორგანიზაციის მიერ მითითებული ადგილი.

ე) **გამოცდის ფორმა – „CAT“-ის ფორმატი.**

ვ) **ექსტერნატისათვის მომზადების ფორმა** – აქ შეიძლება განვიხილოთ ორი ვარიანტი:

1) თუ ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მისი მთავარი პრინციპია თავისუფლება /ამერიკული ვარიანტი, მემარჯვენე იდეოლოგია/, მაშინ მოსწავლე სკოლისაგან დამოუკიდებლად ემზადება აღნიშნული გამოცდისათვის. ეს პრინციპი პროგრამულ ექსტერნატზე ყველა მოსწავლის ხელმისაწვდომობას ვერ უზრუნველყოფს.

2) თუ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მთავარი პრინციპია თანასწორობა /ევროპული ვარიანტი, მემარცხენე იდეოლოგია/, მაშინ შესაძლებელია სკოლის თანამონაწილეობა აღნიშნული გამოცდების მომზადების პროცესში. ეს პრინციპი უზრუნველყოფს ყველას ხელმისაწვდომობას პროგრამულ ექსტერნატზე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს არასაგაკვეთილო დროს ექსტერნატის მოსამზადებელი ჯგუფების შექმნით. აღნიშნული ღონისძიება შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს კვალიფიციური პედაგოგებისათვის. ბენეფიციარებს უნდა მიეცეთ უფლება, აირჩიონ სასურველი პედაგოგი, შესაძლებელია, რეპეტიტორიც შემოვიყვანოთ სკოლაში.

მეორე ვარიანტის არჩევის დროს ბენეფიციარზე განსაზღვრული ვაუჩერის დარჩენილი ოდენობა სკოლას უნდა გადაეცეს იმ შემთხვევაში, თუ მისი შედეგი წარმატებული იქნება. წარუმატებლობის შემთხვევაში, რჩება სახელმწიფოს. ასევე პირველი ვარიანტის შემთხვევაში დაზოგილი ვაუჩერი რჩება სახელმწიფოს.

ზ) **პროგრამული ექსტერნატის მოსამზადებელი ჯგუფის დაფინანსება**; ჯგუფის დაფინანსდეს სკოლისა და ბენეფიციარის თანამონაწილეობით. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს ურთიერთშეთანხმებით /სკოლას, ბენეფიციარსა და მასწავლებელს შორის/.

სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დაფინანსებას მთლიანად თავისთავზე იღებს სკოლა. გამონაკლისის შემთხვევაში /ფინანსური უკმარისობა/ – ადგილობრივი თვითმმართველობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამინისტრო.

თ) **აღნიშნული პროგრამული ექსტერნატის შემოღება დიდი შვება იქნება უცხოეთში განათლებამიღებული მოსწავლეებისათვისაც**, რომლებიც სწავლას აგრძელებენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროგრამულად უსწრებენ თავიანთ აქაურ თანატოლებს, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სწავლების ხანგრძლივობის გამო.

ი) **შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა**. აღნიშნული პროექტი მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში, ვაუჩერული დაფინანსების წესში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ექსტერნატის დებულებაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დებულებაში, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში.

აღნიშნული პროექტის იურიდიული გაფორმება სავსებით თავისუფლად და კვალიფიციურად შეუძლია „ბურდულ-გაბელიას“ /სკოლების სამართლებრივი დახმარების ჯგუფი/ ახალგაზრდა იურისტთა შესანიშნავ კოჰორტას.

დაბოლოს, ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას უკანასკნელ ჭეშმარიტებაზე, აღნიშნული პროექტი შეიძლება დაიხვეწოს, შევიდეს უკეთესი მოსაზრებები და წინადადებები განხილვის და განსჯის დროს. ჩვენ, უბრალოდ, გამოვხატავთ იმ სასკოლო საზოგადოების აზრს, რომელიც უკეთესობისაკენ ცვლილებებს ელის.

დიმიტრი მეჭურჭლიშვილი
თბილისის 116-ე საჯარო სკოლის დირექტორი

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

წერილი მესამე

ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანის სახელი, ისევე, როგორც ბევრი რამ ჩვენი წარსულიდან, ნელინელ დავიწყებას მიეცა. დასანანია ეს დავიწყება, რადგან შემოქმედება ვახტანგ ორბელიანისა ქართული რომანტიზმის განუყოფელი ნაწილია, ხოლო მისი ბიოგრაფია გასდევს და ასურათხატებს თითქმის მთელს მეცხრამეტე საუკუნეს.

ერეკლე მეორის შვილიშვილმა მთელი ცხოვრება სათუთად გამოატარა, გამოატარა და თავის „სოფლისგან დაწყლულებულ“ გულთან ერთად სიონის ტაძრის ლოდქვეშ დაატანა ოცნება თავისუფალ ქართულ სამეფოზე...

ეს ოცნება მას ბავშვობიდან ქონდა შთანერგილი – იგი ხომ თეკლე ბატონიშვილის ვაჟი იყო, ერეკლეს უმცროსი და უსაყვარლესი ასულისა. იმ თეკლე-ბიჭის, მამამისი რომ მიმართავს – „ჩემო შინაგანო გულის ნათელო, თეკლევ!“ და სიმწრით აღმოხდება: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემის თეკლეს სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდიო“ (ორბელიანი 1894: XI).

საქართველოს წარსულისა და მწერლობის უბადლო მცოდნე, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული თეკლე იყო პირველი აღმზრდელი და გეზის მიმცემი თავისი ვაჟიშვილებისა – ალექსანდრესი, სიყმანვილეში შერქმეული „პუპლიას“ მეტსახელით უაღრესად საინტერესო და თვალსაჩინო ფიგურად რომ დარჩება ქართულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შუათანასი – დიმიტრისა და ვახტანგის.

თუკი მოეძებნება ვახტანგ ორბელიანს სულშიჩამწვდომი სტრიქონები, სწორედ იმ, ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებითაა ნაკარნახევი:

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოს მამულს არ მივცემო, არა და არა!“
„იმედი“ (ორბელიანი 1928: 19)

მამა მომავალი პოეტისა, ერთ დროს საგარეჯოს მოურავი, შემდგომ კი უკვე რუსულ სამსახურში – პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი, – უმცროსი ვაჟიშვილის დაბადებამდე ერთი თვით ადრე დაიღუპა აჯანყებულ კახელებთან შეტაკებისას – 1812 წლის მარტში. უმცროს ვახტანგს მან არა მარტო სახელი უანდერძა, არამედ ის შინაგანი გაორებაც, რომელიც შემდგომში, გარემოებათა ზეწოლით დამპყრობლის მუნდირში გამოწყობილ მამულიშვილთა მთელი თაობის განმასხვავებელ ნიშანთვისებად იქცა.

ამ მხრივ, უმცროსი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს: კეთილშობილთა სასწავლებელი; შემდგომ, პეტერბურგში – პაჟთა კორპუსი; 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა; გადასახლებაში ნოსტალგიური ლექსების წერა; მონანიება; სამშობლოში დაბრუნება; დაბოლოს, ზეაღმავალი სამხედრო კარიერა: პრაპორშჩიკობიდან – გენერლობამდე...

ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა თავდაპირველად ოჯახური სალონის კედლებით იფარგლებოდა. ორბელიანებთან იკრიბებოდნენ დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ივანე მუხრანსკი, ზაალ ავთანდილაშვილი – ქართული არისტოკრატული ინტელიგენციის პირველი თაობა. გარდა თავიანთი ნაწარმოებებისა, დიდის გატაცებით უკითხავდნენ ერთმანეთს ვახტანგისა და მისი ძმის – დიმიტრის მიერ პეტერბურგიდან ჩამოტანილ რუსულ და ფრანგულ წიგნებს.

ვახტანგ ორბელიანი განსაკუთრებით ჰიუგოთი და პუშკინით იყო მოხიბლული – პუშკინის ლექსებიდან ზოგი თარგმნა, ზოგიც გადმოაქართულა. მას უთარგმნია აგრეთვე რუსი დრამატურგის – კარატიგინის პიესა „ნაცნობი უცნობი“...

მეგობრებმა ორბელიანების ოჯახურ სცენაზე რეპეტიციებიც კი დაიწყეს. მაგრამ 1832 წლის მიწურულს, ამ სცენისმოყვარულთა უმეტესობა უწყინარი ვოდევილის ნაცვლად, საბედისწერო დრამის მონაწილე აღმოჩნდა და სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებით, საგამოძიებო კომისიის წინაშე წარსდგა.

სხვათა შორის, 1832 წლის შეთქმულებაში არა მარტო სამნი ძმანი ორბელიანები მონაწილეობდნენ, არამედ მათი შთამაგონებელი თეკლე ბატონიშვილიც. ერთი კია, რომ არ დაუპატიმრებიათ შვილებთან ერთად. საპატიმროში – „ავლაბრის ყაზარმებში“ ვახტანგ ორბელიანი ჯერ თავის მეგობართან – დიმიტრი ყიფიანთან ერთად იჯდა და კათოლიკე პატრისაგან ნასწავლ ფრანგულს ხვეწდა; შემდგომ, უფროს ძმასთან – ალექსანდრესთან გადაიყვანეს. პუპლიას და ვახტანგს ძალზე სერიოზული ბრალდებანი ჰქონდათ წაყენებული და თავდაპირველად მათ სიკვდილით დასჯაც კი მიუსაჯეს. მაგრამ, შემდგომში, იმპერატორმა ლმობიერება გამოიჩინა და სამივე ძმა რუსეთს გადაასახლეს. ვახტანგი კალუგას გაისტუმრეს. ერთხანს მასთან ერთად იყვნენ შუათანა ძმაცა და დედაც, მაგრამ თეკლე ბატონიშვილი ხანდაზმულობის გამო, მალე დაუბრუნებიათ თბილისში.

ვახტანგი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანისაგან განსხვავებით, წერილების წერა არ უყვარდა, იძულებული იყო დროდადრო მიემართა დედისათვის მოწიწებული თხოვნით: „მოწყალეო ბატონო, თუ შეიძლებოდეს ერთი ოქრო მიბოძეთ, არ მინდოდა შემეწუხებინეთ, მაგრამ, რა ვქნა, საჭირო არის და აბა, სხვა თქვენს მეტი ვინა მყავს, რომ შევაწუხო. ღვთის მოწყალებით მე კარგათ გახლავარ და აღარა მიჭირს რა, მხოლოდ ამისთვისღა ვწუხვარ, რომ თქვენ შეუძლოთ ბრძანდებოდით. ახლა არ ვიცი როგორა ბრძანდებით. გთხოვთ სნორედ შემატყობინოთ თქვენის ბარათით“ (ჟღენტი 1965:15).

კალუგაში ვახტანგ ორბელიანმა ოთხი წელი დაჰყო და უნდა ითქვას, რომ იქაურ საზოგადოებას დიდად შეუმსუბუქებია მისთვის გადასახლების სიმძიმე: „ძალიან შევწუხდებოდი მარტოობით, თუ აქაურს საზოგადოებას ასე მიღებული არა ვყვანდეთ, – წერდა იგი თავის რძალს ეკატერინეს, – მე არა მგონია, საქართველოში რომ მეღირსოს მოსვლა, ჩემმა ნათესავებმა ასე მიმიღონ, ყოველს სახლში ნათესაურად“ (ჟღენტი 1965: 15).

და მაინც, რაღა თქმა უნდა, ვახტანგ ორბელიანს – „განდევნილს შორსა, შეუწყნარსა ამ წყდიადს მხარეს“, გამუდმებით თვალწინ ედგა „ჩვენის სამშობლოს მშვენიერნი მთანი და ბარნი“, „ჟამნი-დღენი ნეტარებისა, დღენი ლხინისა, შექცევისა და სიმღერისა“...

სამშობლოსთან განშორების ტკივილი უთუოდ გაუსაძლისი იქნებოდა – ლექსად რომ არ გამოთქმულიყო:

მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო!
ბორცვნო, ჭალაკნო მშვენიერნო, ტურფა არენო,
მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად მიბჯენილნო,
წყალნო ალმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო!
მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირთ ძეთ სამარევ, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
სად გინდა ვიყო, რაც გინდა ვიყო, ვარ შენი შვილი!
(ორბელიანი 1928: 3)

ასე მთავრდებოდა „გამოსალმება“ – ვახტანგ ორბელიანის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ლექსი. რუსეთში გადასახლების გამოძახილია კიდევ ერთი გამორჩეული გვერდი მისი ლირიკული რვეულისა – „მოგონება“:

სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;
ვიყავ ჭაბუკი, სამშობლოსკენ იწევდა გული.
დღე და ღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა
ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.
შორს ვიყავ მისგან, მაგრამ გულით სულ ვიყავ მასთან,
ჩემს ღარიბ ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან.
(ორბელიანი 1928: 5)

აქვე ვიტყვი, რომ ეს „ეტლი“, არა როგორც ეკიპაჟი, არამედ როგორც ბედისწერის განმასახიერებელი თანავარსკვლავედი, გასდევს ვახტანგ ორბელიანის მთელ შემოქმედებას.

როდესაც 1837 წელს ვახტანგ ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა, შეწყნარებული და შემორიგებული, ვისმეს, ამ ბრწყინვალე თავადის შემყურეს, უთუოდ გაელიმებოდა „ღარიბი ქოხის“ ან „უიღბლო ეტლის“ მეტაფორებზე...

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან, გეოგრაფიული თვალსაწიერის შენაცვლებამ, ვახტანგ ორბელიანის ლირიკის ადრესატიც შეცვალა და ახლა იგი უკვე თავის თავს კი არ დასტიროდა, რომანტიულ ფერებში წარმოსახული სამშობლოსაგან მოცილებულს, არამედ თვით ამ სამშობლოს, დიდებული წარსულის ხავსიანი ნანგრევებითა და ამ ხავსჩაჭიდებული, განწირული აწმყოთი.

ამ რეფრენს საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში, რომელიც მან წარუმძღვარა ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებულის პირველ გამოცემას (აქვე აღვნიშნავ, რომ ეს კრებული ილიამ და პეტრე უმიკაშვილმა 1894 წელს გამოსცეს. თვითონ ავტორი უკვე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ხელნაწერების შერჩევაშიც და წიგნის გამოცემაშიც მათ დიდად ეხმარებოდა პოეტის ქალიშვილი – გამორჩეული სათნოებითა და ნიჭით აღსავსე მარიამ ორბელიანი).

დავუბრუნდეთ ილიას წერილს: „უმთავრესი კილო თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა, – წერდა ილია, – ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თვითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თვითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხობილს დიდებას, მაგრამ არც იმას გვიმალავს, რა ჭირი და ვაგლახი გადახდენია საქართველოს:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამა, გულსაკლავი და სავალალო“,

– ამბობს იგი ერთს თავის სახელოვანს ლექსში, რომელსაც ჰქვიან „იმედი“ და რომელიც ერთი უწარჩინებულესი მარგალიტია ქართულ პოეზიაში“ (ორბელიანი 1894: XVI-XVII).

ილიასა და ვახტანგ ორბელიანის ურთიერთობას თავისებური ელფერი ჰქონდა – ერთგვარი ნაზავი შინაგანი დისტანციისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის.

ვახტანგს, გრიგოლ ორბელიანის უმცროს კოლეგასა და ნათესავს, გრიგოლის ამპარტავნობის ნატამალიც კი არ ეცხო, და თუ, სიტყვაზე, იმავ ილიას ისტორიულ ოპტიმიზმს არ იზიარებდა, პოეტურ პოლემიკაშიც კი ხაზგასმულად დელიკატური გახლდათ. გავისხენოთ მისი „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, ქვესათაურით – „ილია ჭავჭავაძის ლექსის გამო: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“

მკითხავ, ჩემო პოეტო: რაზედ მოგიწყენია?
ნება მომეც მეც გკითხო: შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!“
მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია!
და ა.შ.
(ორბელიანი 1928: 81)

ზემოთ, პოეტის დელიკატურობა ვახსენე. ვახტანგ ორბელიანი ამ თვისებას მხოლოდ თანასწორებთან როდი ამჟღავნებდა. მისი ერთგული მსახური პლატონ ამაშუკელი, რომელსაც როგორც თავის თანასწორს, ისე ეპყრობოდა, იგონებდა: „მადლობით და ბოდიშებით უფრო იღლებოდაო“ (ლიტერატურის მატიანე 1949:74).

ნუ დაგვავიწყდება, რომ ესოდენ თავმდაბალი ადამიანი არის არა მხოლოდ რომანტიკოსი პოეტი, რომელიც მისტირის იმ დროს, როდესაც – „ყმას ყავს პატრონი არა ბატონი: ერთნი არიან ყმა და პატრონი“, არამედ რუსეთის იმპერიის სამხედრო ადმინისტრაციის ერთ-ერთი დიდმოხელე: ორმოცდარვა წლის ვახტანგ ორბელიანი უკვე გენერალ-მაიორი იყო და მის სამსახურებრივ ნუსხაში მოიხსენიება ყუბანის მაზრის მმართველობაც, თერგის ოლქის უფროსის მოვალეობის აღსრულებაც, საქართველოში დაბრუნებისას კი – არანაკლებ პასუხსაგები თანამდებობა მომრიგებელი მოსამართლისა.

გადასახლების შემდგომ, ხელისუფალთაგან შეწყნარებული და პატივდებული ბრწყინვალე თავადის – ვახტანგ ორბელიანის ცხოვრების გარეგნული ქარგა არ ესადაგებოდა მისი ლირიკის მინორულ ტონალობას. ერეკლეს შვილიშვილს დაახლოებით სამოცი ლექსი დარჩა და უმეტესობა აქედან ისტორიის მუზითაა ნაკარნახევი. თანამედროვე მუზამ, ისეთმა მშვენიერმაც კი, როგორიც მისი ცოლი, ეკატერინე ილინსკაია იყო, შესამჩნევი კვალი ვერ დატოვა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში.

„დედაჩემისთანა უნაკლო სილამაზის ადამიანი მე არასოდეს არ მინახავს. ის არ მისდევდა მოდას, ყოველთვის თავისებურად, სადად იცვამდა და ივარცხნიდა, ან კი რა შესაფერისი იქნებოდა ანტიკური ქანდაკებისათვის მოდის აყოლა?“ – იგონებდა მარიამ ორბელიანი (ლიტერატურის მატიანე 1949: 73).

ანტიკის გახსენებაზე: ვახტანგ ორბელიანი ეთაყვანებოდა ანტიკურ სამყაროს, საზოგადოდ კლასიკას. არ არის შემთხვევითი, რომ ლექსში „ობოლი“ პოეტი „ელინთ მამულს“ ავედრებს „შეიშვილოს და იძმოს იგი ობოლი“ ანუ, წარმოსახული გმირი ამ ლექსისა – შოთა რუსთაველი...

როდესაც ვახტანგ ორბელიანი ლექსით „ძველს მეგობარს“ ეხმიანება დიმიტრი ყიფიანს და მოუწოდებს „სული და გული დავიტკბოთ რუსთველის ლექსით, გიოტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთო“ – ეს პოეტური პირობითობა არ არის. ქართული და ევროპული კლასიკა მხოლოდ წიგნის თაროზე როდი მეზობლობდა ვახტანგ ორბელიანთან – მის ესთეტიკურ იდეალსაც ძერწავდა. ამიტომაა, რომ სიჭაბუკიდან მიჩვეული „ბესიკის მღერას ციურსა“, გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების ლექსით დამტირებელი, – ვახტანგი ერთი წლის შემდეგ (1884 წელს) სწორედ ბესიკისა და გრიგოლ ორბელიანის ტრადიციას ემიჯნება:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა...

და ლოპიანასა და დიმიტრი ონიკოვს – რუსთველის, შექსპირის, შილერის სამყაროს უპირისპირებს.

აქ ვახტანგ ორბელიანი ერთობ პრეტენზიული ჩანს, თუმცა, საზოგადოდ, ლიტერატურულ ცხოვრებაში, იგი ისეთივე თავმდაბალი იყო, როგორც ყოველდღიურობაში.

ნიმუშად მისი ერთი ტაეპი მინდა მოვიყვანო ბაქარ ქართლელისადმი (ანუ დიმიტრი ყიფიანისადმი) ლირიკული მიმართვიდან:

არ ვარ პოეტი: წყობილის რითმით
დამშვრალს კაცის თვალს ვერ მოვგვრი ცრმელსა,
ლექსით ცხოველით, ძლიერით, მდიდრით
ვერ ავაღელვებ, ვერ აღვძრავ ერსა!
(ორბელიანი 1928:92)

ეს სტრიქონები რომ იწერებოდა, ვახტანგ ორბელიანი უკვე სამოცდაათს იყო გადაცილებული. შესაძლოა, სიჭაბუკეში, მეფე ერეკლეს შვილიშვილი მართლაც ოცნებობდა ერის სულიერ წინამძღოლობაზე, მაგრამ ცხოვრებამ მას სხვა როლი არგუნა და უნდა ითქვას, ვახტანგ ორბელიანმა ზუსტად განჭვრიტა თავისი პოეტური მისია – „გზად და შემაერთებელ ხიდად“ ყოფილიყო „ძველ რომანტიულ ლირიკასა და ახალ რეალურ პოეზიას შუა“ (ეს კიტა აბაშიძის სიტყვებია).

სახელოვან პაპას ვახტანგ ორბელიანმა მამულისათვის მეომრული თავგამეტებით ვერ მიბაძა, მაგრამ შთამომავლობას დაუტოვა პატარა კახის საარაკო გმირობის პოეტური სურათები („ირაკლი და კოხტა ბელადი“, „ირაკლი და იმისი დრო“). მან არა მხოლოდ გამოიგლოვა, არამედ დაასურათხატა იავარქმნილი დმანისი, ორბელიანთა ტრადიციული მაიორატი; გელათი – „დიდი თამარის“ წარმოსახული განსასვენებლით („არის ადგილი“); მან განავრცო ქართული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მესიანისტური იდეა („ჯვარი ვაზისა“ და „იანვრის 14-ს“) დაბოლოს, თავის საუკეთესო ლექსში, „იმედში“ წარმოაჩინა საქართველოს ისტორიული არსებობის კონცეფცია.

„აქ სჩანს მთელი სიდიადე, მთელი ძალ-ღონე მამულიშვილური სიყვარულისა, რომლის რისხვამ თვით სარწმუნოებაც კი აგმობინა ღრმადმორწმუნე პოეტს“, – წერდა ილია „იმედის“ შესახებ (ორბელიანი 1894: XVIII).

„ნანგრევთა შუა მდინარებდა ჩვენი ცხოვრება“ – აღმოხდა ვახტანგ ორბელიანს იონა მეუნარგიასადმი მიძღვნილ ლექსში – „ნანგრევთა შუა ლამპარი“.

სწორედ ამ ლამპარით წარსდგა „დიდის კარის წინ“ ვახტანგ ორბელიანი და სიმბოლურია, რომ მისი ბოლო, დათარიღებული ლექსი, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1889 წელს დაწერილი, სწორედ ასეა დასათაურებული – „დიდის კარის წინ“:

მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემს რიგსა,
სოფლისგან გულით დაწყლულებული, –
რაც მე გამტანჯა
და რაც დამსაჯა
მასა გრძნობს შენი ეგ წრფელი გული.
(ორბელიანი 1928: 134)

მხცოვანი ვახტანგ ორბელიანი ამ პოეტურ ანდერძს თავის საყვარელ ქალიშვილს – მარიამ ორბელიანს უტოვებდა, მაგრამ ისე მგონია, რომ წრფელ გულში ვახტანგ ორბელიანის მივიწყებული სახელი დღესაც ჰპოვებს გამოძახილს.

ზაზა აგზიანიძე

მეთოდიკა

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში?

წინა წერილში მოგაწოდეთ ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდის III და IV ტიპის ტესტების ნიმუშები. იქ არ წარმომიდგენია **IV დავალების ტიპის – შესაბამისობის დადგენა** – ტესტის ნიმუში, რომელიც უკავშირდებოდა ბლუმის ტაქსონომიას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის დავალება ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებაში წინა გამოცდაზე არ იყო და წლეულს პირველად შესთავაზეს აპლიკანტებს. ალბათ ამის გამო ტესტში მცირე ხარვეზი გაიპარა, თუმცა ის ძალიან უმნიშვნელო იყო. მე დაგპირდით, რომ მოგანოდებდით ამ ტიპის დავალების ნიმუშს შესაბამისი განმარტებებით (ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებაში). ჯერ მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას თავად ბლუმის ტაქსონომიის შესახებ და კითხვების დასმის სტრატეგიებზე ამ ტაქსონომიით განსაზღვრული სააზროვნო უნარებთან მიმართებაში.

ბლუმის ტაქსონომია (კლასიფიკაცია, დახარისხება). ზოგადად აზროვნების უნარების განვითარების ეს მეთოდი ასე შეიძლება განვმარტოთ: ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად, მარტივიდან რთულისაკენ არის განლაგებული; ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა სააზროვნო დონეში მოიაზრება. მათ რეპროდუქციულ სააზროვნო დონეებსაც უწოდებენ; ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეებია და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. ჩემი აზრით, თქვენთვის აუცილებელია, იცოდეთ თითოეული ამ სააზროვნო დონის მიზანი და შესაბამისად ის დავალებები, რომლებიც შეიძლება მიეცეს მოსწავლეს ან კითხვები, რომლების შეიძლება მათ დაუსვათ, რათა შესაბამის სააზროვნო დონეზე გაიყვანოთ. ქვემოთ ცხრილის სახით გაძლევთ დონეების, მიზნების და კითხვების ურთიერთმიმართებას.

	დონეები	კითხვები	მიზნები
6.	შეფასება	არის ეს უკეთესი გადაწყვეტილება? რომელია შენთვის უფრო მისაღები? დაასაბუთე. როგორია შენი აზრი? რა დამოკიდებულება გაქვს? რა კრიტერიუმებით შეაფასებ?	შეაფასოს, მიიღოს გადაწყვეტილებები, არგუმენტირებულად დაასაბუთოს.
5	სინთეზი	რა გადაწყვეტილებებს მიიღებდი შენ? რა შეიძლება ყოფილიყო სხვა ალტერნატიული გზა? რა მოხდებოდა თუ...?	შექმნას, მოიფიქროს, დაგეგმოს, შეიმუშაოს, ჩადგეს მის როლში.
4	ანალიზი	რა მსგავსებებია? რა განსხვავებები? შეადარეთ: რა არის ამის მიზეზი? შედეგი? რატომ ფიქრობ ასე?	მოსწავლემ უნდა დააკავშიროს, გააანალიზოს, შეადაროს, განასხვავოს, ახსნას, დაასაბუთოს.
3	გამოყენება	რა შეკითხვებს დასვამდი? იქნებოდა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი? შეგიძლია დააჯგუფო ამ ნიშნის მიხედვით?	რამდენად იყენებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას, რამდედნად შეუძლია ააგოს, დემონსტრირება მოახდინოს, დაასრულოს
2	გაგება	შენი სიტყვებით როგორ იტყვი? როგორ ფიქრობ, რატომ? რა იყო ძირითადი აზრი? იდეა? შეგიძლია მოიტანო მაგალითი?	გავიგოთ, რამდენად გაიგო, განაზოგადა მოსწალვემ ის, რაც წაიკითხა, ისწავლა.
1	ცოდნა	რა მოხდა? როდის? რატომ? რა არის სწორი? რა მოხდა შემდეგ? რამდენი მონაწილეობქდა? შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?	ყველა ეს კითხვა ემსახურება ერთ მიზანს – ცოდნას, მოსწავლემ უნდა განსაზღვროს, აღწეროს, მოყვეს, ჩამოთვალოს.

ამ ინფორმაციის მოწოდების შემდეგ წარმოგიდგენთ დავალების ორ ნიმუშს, დავალებაში ინფორმაცია ორ სვეტადაა წარმოდგენილი. დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან, ანუ მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის შედგენილი სხვადასხვა სირთულის დავალების (კითხვის) შესაბამისობის დადგენას იქვე მოცემულ კოგნიტურ მიზანთან (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით). შეეცადეთ, სწორად დაალაგოთ ისინი. პასუხები სტატიის ბოლოშია მოცემული.

დავალება 1. თემა: თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში. მასწავლებლის მიერ მიცემული ექვსი დავალება მოიცავს ბლუმის ტაქსონომიის ექვსივე დონეს. მიუსადაგეთ ისინი ერთმანეთს.

ა. შენი აზრით, რა მოხდებოდა, საქართველოს მეფეს უარი რომ ეთქვა თემურ-ლენგის წინააღმდეგ ოქროს ურდოს ყაენთან კავშირზე?
ბ. რუკაზე უჩვენე თემურ-ლენგის მერვე ლაშქრობის მარშრუტი.
გ. დაასახელე საქართველოს მეფეები, რომლებიც მეფობდნენ თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს?
დ. რამდენად მისაღები არის შენთვის გიორგი VII-ს ქმედებები ამ ლაშქრობების დროს?
ე. იმსჯელე თემურ-ლენგის და მურვან-ყრუს ლაშქრობების საერთო მიზეზებზე.
ვ. შენი სიტყვებით მოკლედ მოყევი თემურ-ლენგის და გიორგი VII-ს ურთიერთობაზე.

1. ცოდნა
2. გაგება
3. გამოყენება
4. ანალიზი
5. სინთეზი
6. შეფასება

დავალება 2. თემა: ნაპოლეონის ომები და ვენის კონგრესი. მასწავლებლის მიერ მიცემული ექვსი დავალება მოიცავს ბლუმის ტაქსონომიის მხოლოდ სამ დონეს. მიუსადაგეთ ისინი ერთმანეთს.

ა. შენი აზრით, რომელმა სახელმწიფოებმა მოიგეს განსაკუთრებით ვენის კონგრესის დასკვნითი აქტით?
ბ. რუკაზე უჩვენე ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ქვეყნები.
გ. ევროპისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ვენის კონგრესს?
დ. დააჯგუფე ქვეყნები, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების შედეგად.
ე. რის გადარჩენას ცდილობდა ნაპოლეონი გადადგომით?
ვ. რის მიღწევას ცდილობდა ნაპოლეონი კონტინენტური ბლოკადის გამოცხადებით?

1. გამოყენება
2. ანალიზი
3. შეფასება

დავალების V ტიპი. სადისკუსიო თემის განსაზღვრა. დავალებაში მოცემულია ნაწყვეტი ისტორიული წყაროდან, ნაშრომიდან ან რაიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტი. ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ტიპის ორ დავალებას. მოცემულ ორ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროთ: ***1. სადისკუსიო თემა; 2. ჩამოაყალიბოთ ორი განსხვავებული პოზიცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ დისკუსიის დროს და მოიყვანოთ თითო-თითო არგუმენტი ამ პოზიციების სასარგებლოდ.***

დავალება 1.
VI საუკუნის შუა ხანებში, ბიზანტია-სპარსეთის ომის მსვლელობის დროს, ბიზანტიელი სარდლები ლაჩრულად იქცეოდნენ, რაც იწვევდა მათი მოკავშირე, ეგრისის მეფის გუბაზ II-ის აღშფოთებას. მან რამდენჯერმე დაასმინა ეს სარდლები ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-თან. ამით აღშფოთებულმა ბიზანტიელმა სარდლებმა 554 წელს ეგრისის მეფე მდ. ხობისწყალთან ღალატით მოკლეს. მკვლელობის შემდეგ, ერთ-ერთ ხეობაში შეიკრიბა ეგრისელთა სახალხო კრება, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. პროირანულ პოზიციას ახმოვანებდა აიეტი, ხოლო პრობიზანტიურს – ფარტაძი.

დავალება 2.
1978 წლის 14 აპრილს თბილისში მოეწყო სტუდენტების და ინტელიგენციის ნაწილის მანიფესტაცია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლთან „ქართული ენის სტატუსთან“ დაკავშირებით. წინა კონსტიტუციაში არსებობდა მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა იყო ქართული ენა. ახალი კონსტიტუციის პროექტში კი ეს მუხლი სხვაგვარად იყო ფორმულირებული და სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ფიგურირებდა. იქ ეწერა: „საქართველოს სსრ უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისთვის“. ამ ფაქტმა სტუდენტებში ვნებათაღელვა გამოიწვია და მათ 14 აპრილს, კონსტიტუციის ოფიციალურად მიღების დღეს, ქუჩაში გამოსვლა გადაწყვიტეს. წინა დღეებში სახელმწიფო მოხელეები და სხვა ადამიანებიც მოუწოდებდნენ სტუდენტებს, არ გამოსულიყვნენ და საკუთარი არგუმენტები მოყავდათ. სტუდენტებს კი თავისი მოსაზრებები ჰქონდათ.

პასუხები:

IV დავალების ტიპი. დავალება 1. ა-5; ბ-3; გ-1; დ-6; ე-4; ვ-2. **დავალება 2.** ა-3; ბ-1; გ-3; დ-1; ე-2; ვ-2.

V დავალების ტიპი.

დავალება 1. 1. სადისკუსიო კითხვა: რომელ პოლიტიკურ ორიენტაციას – პროირანულს თუ პრობიზანტიურს უნდა დადგომოდნენ ეგრისელები გუბაზის სიკვდილის შემდეგ? **2. ორი პოზიცია: პროირანული ორიენტაციის მომხრეების არგუმენტები** (ერთის მაგივრად პასუხში მოცემულია ორ-ორი არგუმენტი): ბიზანტიელებმა ვერაგულად მოკლეს ჩვენი მეფე და ამიტომ საჭიროა მათი მტრის, სპარსეთის მხარეს გადასვლა; ან სპარსელები უფრო სანდონი არიან, რადგან თუ ვინმე მეგობრად გაიხადეს, აღარ ღალატობენ; მით უმეტეს ეგრისელთა მოკავშირეობა მათთვის სასარგებლოა ამ ქვეყნის შავი ზღვის სანაპიროსთან მდებარეობის გამო. **პრობიზანტიური ორიენტაციის მომხრეების არგუმენტები:** არ შეიძლება შუა ომში მოკავშირის ღალატი. ამიტომ საჭიროა ბიზანტიის იმპერატორს მომხდარზე სამართლიანი სასამართლოს ჩატარება მოვთხოვოთ და მხოლოდ უარის შემთხვევაში ხელმეორედ განვიხილოთ ეს საკითხი; ან ბიზანტიელებსაც და ჩვენც ერთი სარწმუნოება გვაკავშირებს და სპარსელების მხარეს გადასვლის შემთხვევაში ჩვენს რწმენას საფრთხე დაემუქრება

დავალება 2. 1. სადისკუსიო თემა: უნდა გასულიყვნენ თუ არა სტუდენტები დემონსტრაციაზე? **2. ორი პოზიცია:** სტუდენტები უნდა გასულიყვნენ ან არ უნდა გასულიყვნენ დემონსტრაციაზე. **დემონსტრაციის არჩატარების მომხრეს ორი არგუმენტი:** საბჭოთა კონსტიტუციები ფორმალური დოკუმენტი, ფარატინა ქარალდი იყო და მასში ცვლილებები არაფერს ნიშნავდა; ან დემონსტრაციის ჩატარების შემთხვევაში საბჭოთა ჯარები ესროდნენ დემონსტრანტებს და ბევრი ხალხი დაიღუპებოდა; **დემონსტრაციის ჩატარების მომხრეს ორი არგუმენტი:** დემონსტრაციის გარეშე, მარტო წერილობითი მოთხოვნებით, კონსტიტუციაში არაფერი შეიცვლებოდა; ან საქართველოს კონსტიტუციაში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ენის გამოყოფა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო, საბჭოთა მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გასანეიტრალებლად.

ბესიკ ლორთქიფანიძე
ისტორიის დოქტორი,
თბილისის №20 საჯარო სკოლის და
სკოლა „ანი-ზეტის“ ისტორიის მასწავლებელი,
ილიას უნივერსიტეტის ლექტორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ტრენერი

შესწორება

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის თარიღები შეიცვალა:
2012 წლის 17 დეკემბრის ნაცვლად 9 დეკემბერი,
21 დეკემბრის ნაცვლად 13 დეკემბერი,
28 დეკემბრის ნაცვლად 15 დეკემბერი.

ინფორმაცია

ილიაობა საგურამოში

8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძე 175 წლის გახდა... გაივლის ათი, ასი და უფრო მეტი ამდენივე წელი, მაგრამ ილიას სახელი თანამდევი და განუყოფელი იქნება საქართველოსაგან – ვიდრე საქართველო იარსებებს...

ტრადიციულად სტუმართმრავლობა იყო საგურამოს ილიას „ტუსკულუმში“, რომელიც შემოდგომის სულისწამღები ფერებით შეეგება სტუმრებს. აქ შეიკრიბნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე ახალგაზრდა თაობა, რომელმაც „უნდა შვას ქვეყნის მყოობადი“.

საპატიო სტუმრების სტატუსით მობრძანდნენ მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. რამდენიმე წლის წინ სწორედ ბატონი ბიძინას მეშვეობით აღდგა და რესტავრაცია ჩაუტარდა როგორც ილიას საგურამოს სახლ-მუზეუმს, ისე მუზეუმში არსებულ მემორიალურ ავეჯსა და ნივთებს. რესტავრატორები შეეცადნენ, რომ სახლსაც და ნივთებსაც ილიასდროინდელი სახე დაებრუნებინათ.

წელს მეათედ აღინიშნა ასეთი მასშტაბის ილიაობა საგურამოში. ჯგუფ „კალასის“ მიერ დაწესებული ნომინაციები და ილიას მედალი გადაეცათ ლიტერატურისა და ხელოვნების ღვაწლმოსილ ადამიანებს. „კალასმა“ წელს ამ ნომინაციებს ერთი გამორჩეული ჯილდოც მიუმატა. ეს გახლავთ ილიას სახელობის ოქროს მედალი, რომელიც გადაეცა ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს, როგორც მუზეუმის მეგობარს და ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებულად დამსახურებულ ადამიანს. ტრადიციულად, ნომინაციები და მათი ადრესატები გააჟღერა მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ.

გაგაცნობთ 2012 წლის ილიას სახელობის პრემიებისა და მედლის ნომინანტებს:

ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია **პოეზიის დარგში** გადაეცა პოეტსა და ფოლკლორისტს **ეთერ თათარაიძეს**.

პროზაში ეს პრემია დაიმსახურა **ირაკლი სამსონაძემ**;

თარგმანში – გივი შაჰნაზარმა;

კრიტიკაში – თამაზ ვასაძემ;

ხელოვნებაში – გოგი ხარაბაძემ (მან მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი შესანიშნავი დისკები, სადაც დატანილია ილიას პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, ბიბლიის თავები, გალაკტიონის პოეზია და ა.შ.);

ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში ილიას პრემიის ნომინანტი გახდა **გიორგი გოგოლაშვილი** – თსუ-ს პროფესორი.

დაბოლოს, **ილიას მედალი** ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის გადაეცა **ვახტანგ ჯავახაძეს**.

გთავაზობთ ნაწყვეტს ეთერ თათარაიძის გამოსვლიდან:

– მე და ამირანმა (მეუღლე, ფოლკლორისტი ამირან არაბული) თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ და საფლავებზე გაკეთებული წარწერები შევაგროვეთ. მერე ისინი წიგნადაც დავბეჭდეთ უწმიდესის თანადგომითა და დახმარებით.

ერთ დღეს მთაში ვართ, სოფელ წვერის სასაფლაოზე. ერთ-ერთ საფლავზე დიდი გაშლილი გარმონი იყო ამოტვიფრული. ამირანს დავასწარი და წამოვიძახე – აქ ცნობილი მეგარმონე იქნება-მეთქი, წარწერა ამოვიკითხეთ და აღმოჩნდა, რომ საფლავის პატრონი ქალია. იქვე მჯდარი მოხუცი ქალი გამოგველაპარაკა და მისგან საინტერესო ინფორმაცია მოვისმინეთ: ეს ქალი მართლაც კარგი მეგარმონე ყოფილა, ილიას ერთ-ერთი მკვლელის – ბერბიჭაშვილის მეუღლე.

როცა ილიას მკვლელობის და ამ საქმეში ბერბიჭაშვილის ბრალეულობის ამბავი გახმიანებულა, ამ ქალის ძმები ჩასულან ბერბიჭაშვილის სოფელში და პროტესტის ნიშნად საფლავიდან ამოუსვენებიათ თავიანთი და, წამოუსვენებიათ თავიანთ სოფელში – წვერში, – ბერბიჭაშვილი რა ღირსია, ჩვენს დას იმისი ცოლის სახელი ერქვასო!..

– და ღმერთმა ინება, რომ ამ სახით და ამ კუთხით ილიასთან დაკავშირებულ ამ ამბავს მეც შევხებოდი, – ამთავრებს საუბარს ქალბატონი ეთერი, – დღეს ჩემსავით გახარებული საქართველოში ვერავინ იქნება, რადგან ილიას სახლთან ვხსენდი! მადლობა უფალს და მადლობა თქვენ, ყველას, – აქ შეკრებილ საზოგადოებას, რომ ასეთი პეტივის ღირსი გაგვხადეთ მე და ჩემი პოეზია.

* * *

...ხოლო იმ დღის საერთო განწყობილებას ილიას ეზოში ამოსული ახალგაზრდა ნეკერჩხალი ყველაზე უკეთ გამოხატავდა...

თამარ თათარაშვილი

სტუმრად მე-200 სკოლაში



თბილისის №200 საჯარო სკოლის დერეფანში კედელზე გაკრულმა აფიშამ მიიპყრო ჩემი ყურადღება – „ღიმილი მინდა“. უნებლიედ გამეღიმა, მივხვდი, რომ განსაკუთრებით თბილი საღამო იგეგმებოდა... ღიმილი ბედნიერებაა ირგვლივ მყოფთათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სითბოს, სიყვარულსა და დიდ ძალისხმევა მოითხოვს საზოგადოების თითოეული წევრისგან.

„უნარშეზღუდულ ბავშვებს პრობლემებს, კომპლექსებს, უფრო მეტად საზოგადოება, სოციალური დამოკიდებულებები უქმნის, ვიდრე დეფექტი“ (ვიგოდსკი).

სწორედ ამიტომ ჩუქნიდა უამრავ ღიმილს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და სსიპ კინოცენტრი „აფხაზეთი“ (პროექტის ორგანიზატორი – **ლეილა ბაღბაია**).

სწორედ ამიტომ დაარქვეს აფხაზეთის მკვიდრმა და №200 საჯარო სკოლის მოზარდებმა კონცერტს „ღიმილი მინდა“, რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი – 2“ (დირექტორი – **მანანა ბურბუთაშვილი**), ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები: „ნართაა“ და „აისი“ (პედაგოგი – **თოვლია მიქავა**), პროექტ „ანა-ბანაში“ გამარჯვებულები – **გიორგი ვარდანია** და **რეზო დიდებაშვილი**; პროექტ „ევროვიზიის“ ორგზის ფინალისტი **კატო სალუქვაძე**.

ღონისძიება გახსნა პროექტ „ნიჭიერის“ ნახევარფინალისტმა **ანა ქაშიბაძემ**.

მასპინძელი სკოლის მოსწავლეებმა, მიუხედავად მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ ლინგვისტური მდგომარეობისა, საოცარი მონდომებით წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები ხელოვნებაში.

აღსანიშნავია პედაგოგი **მაყვალა ბუნტური**, რომლის დაუღალავი შრომით შეძლეს მოსწავლეებმა გახალისებულიყვნენ და სხვებისთვისაც გადაედოთ პოზიტიური განწყობა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ბატონი **ალექსანდრე აპლაკოვი**; განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი **დავით ბაძაღუა**; პროგრამებისა და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი გელენავა** და გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის წარმომადგენლები.

ალექსანდრე აპლაკოვი: *როდესაც ღონისძიების ორგანიზატორმა, ქალბატონმა ლეილა ბაღბაიამ გამაცნო პროექტი, უდიდესი სურვილი გაგვიჩნდა, მხარში ამოვდგომოდით პროექტის განხორციელებაში, ამით ხელი შეგვეწყო და მცირედი წვლილი შეგვეტანა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. აღტაცებული ვარ მათი შესაძლებლობებით. ვეცდებით, ეს ბავშვები გავახაროთ და საახალწლოდ ისევ ვეწვიოთ.*

ირაკლი გელენავა: *როდესაც ბავშვები გრძნობენ საზოგადოების ზრუნვას, მათში მეტი დადებითი ენერგია მძლავრობს. ისინი მზად არიან დაძლიონ კომპლექსები და იბრძოლონ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის.*

ლეილა ბაღბაია, კინოცენტრ „აფხაზეთის“ მთავარი სპეციალისტი: *კიდევ ერთი განსაკუთრებული ფურცელი ჩაიწერა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრ „აფხაზეთის“ ისტორიაში. პროექტისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით. მოზარდებმა ერთობლივად შეძლეს გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების წარმოჩენა. მათ მთელი დარბაზი აიყოლიეს. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით დამიდგა ამ პროექტის განხორციელებაში.*

მარინა უჯმაჯურიძე, სკოლის დირექტორი: *უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ დღევანდელი თბილი და საინტერესო საღამოსთვის. მიჭირს სიტყვების მოძებნა, რომლითაც განცდილ სიამოვნებასა და სიხარულს გადმოვცემ. თქვენ საოცარი სითბო, სიყვარული და ულევი ღიმილი აჩუქეთ ჩვენს ბავშვებს. ეს დღე მაგალითი უნდა იყოს საზოგადოების თითოეული წევრისათვის, რომ გვერდით დაუდგნენ ამ ბავშვებს, რათა აგრძნობინონ რომ მათზე ზრუნავენ.*

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა სკოლა დაათვალიერეს. ბავშვებს აქ თბილ გარემოში უწევთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადალახვა. გვჯერა, ნაბიჯ-ნაბიჯ, გარშემომყოფთა დაუღალავი შრომით. ისინი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ჩამოყალიბდებიან და თვითონ დაუბრუნებენ სითბოსა და სიხარულს გარშემომყოფთ.

მედეა ზუხგაია

ინფორმაცია

ჩვენც საქართველოს შვილები ვართ

გარდაბნის №3 საჯარო სკოლა ერთ-ერთი დიდი სკოლაა რეგიონში. ეს სკოლა ბევრი კარგი ტრადიციის მატარებელია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფო ენის სწავლებას. სკოლის დირექტორი, ბატონო **ფირდოვსი ისკანდაროვი** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლის აღსაზრდელები საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბდნენ. სკოლაში გახსნილია ქართული ენის სახლი, სადაც სახელმწიფო ენას ეუფლებიან როგორც რაიონის აზერბაიჯანული სკოლის პედაგოგები, ასევე მოსწავლეთა მშობლები.

სკოლაში ქართული ენის სამი კაბინეტი ფუნქციონირებს. მათგან ერთი-ერთი გალაკტიონ ტაბიძის სახელობისაა. სკოლის ქართული ენის კათედრა აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „მთაწმინდის მთვარესთან“ (ხელმძღვანელი – **არჩილ აბესაძე**). ყოველ წელს სკოლაში აღინიშნება „გალაკტიონობა“, გვყავს წინა წლების – „გალაკტიონობა- 2011“-ის და „გალაკტიონობა-2012“-ის რესპუბლიკური კონკურსების გამარჯვებულიც – **ორხან ალიევი**.

სკოლა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიქასთან“. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებს „სიქას“ ტრენერები უტარებენ ტრენინგებს, რაც ჩვენს მოსწავლეებს ეხმარება, მეტი გაიგონ ადამიანის უფლებების შესახებ. „სიქას“ ორგანიზებით, ჩვენი მოსწავლეები,13 ნოემბერს, ესტუმრნენ თბილისის იუსტიციის სახლს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

მიმდინარე სასწავლო წელი სკოლის დირექციამ მოსწავლეთათვის ახალი წამახალისებელი ღონისძიებებით დაიწყო. 2 ნოემბერს, სკოლის დირექტორის ფირდოვსი ისკანდაროვის ინიციატივით, IX ბ კლასის (ხელმძღვანელი – **დალი გელაშვილი**) მოსწავლეები ახალციხეში გაემგზავრნენ, განახლებული რაბათის ციხის დასათვალიერებლად. ამ ექსკურსიას სხვა დატვირთვაც ჰქონდა, სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, ისტორიკოსმა **აიათ მეხრაბოვმა** მოსწავლეებს გაკვეთილი რაბათის ისტორიულ მუზეუმში ჩაუტარა, საქართველოს ამ ძირძველი ადგილის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ ესაუბრა, მუზეუმში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები დაათვალიერებინა და მათ შესახებ მოუთხრო.

მოსწავლეები აღფრთოვანებული დარჩნენ ამ ისტორიული ადგილის დათვალიერებით, უკან დაბრუნებულებმა ბორჯომის ტყეპარკი დაათვალიერეს და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დაბრუნდნენ გარდაბანში.

უახლოეს პერიოდში სკოლის დირექცია მსგავსი ექსკურსია-გაკვეთილების ჩატარებას საქართველოს სხვა ისტორიულ მუზეუმებსა და ადგილებში გეგმავს, რათა ჩვენი მოსწავლეები უფრო კარგად გაეცნონ სამშობლოს ისტორიას.

დალი გელაშვილი
გარდაბნის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სპორტი

ახალგაზრდებს მიზანმა უმტყუნათ

ირაკლი თავაძე

გასულ უქმეებზე ნინო სალუქვაძის სახელობის ტირმა უკვე ტრადიციულად ქცეული სახელოვანი მსროლელის, ევროპის სამგზის ჩემპიონისა და ოლიმპიური ვერცხლის მედალოსნის **შოთა ქველიაშვილის** მემორიალს უმასპინძლა, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში – უფროსებსა და ახალგაზრდებში ჩატარდა. ასაკობრივ ტურნირში, ჩვენებთან ერთად, აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ. მასპინძლები ორი ქალაქის სამი გუნდით იყვნენ წარმოდგენილნი – ქუთაისი ერთი ნაკრებით გამოდიოდა, თბილისს კი ორი კლუბი წარმოადგენდა – საკუთრივ სალუქვაძის ტირისა და ასკ-სი.

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, შედეგები არ იყო სახარბიელო. ეს უფრო გოგონებზე ითქმის, თორემ ბიჭები არც აქამდე გამოირჩეოდნენ კარგი მაჩვენებლებით. შესაძლოა, ეს იმის ბრალიცაა, რომ ახლა იწყებენ მზადებას საგაისო სტარტებისთვის და ვარჯიში აკლიათ. ამ ტურნირში, უფროსთა შორის, გამოდიოდნენ აზერბაიჯანელი მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **ირადა აშუმოვა** და უკრაინის სახელით ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ირინა კოჩეროვა**, რომელიც ამჟამად მალაიზიაში ცხოვრობს და **დევი დასი იშვარი ჯანავას** სახელით ასპარეზობს. მათ სალუქვაძეც უნდა დავამატოთ და ვფიქრობთ, ასეთი დიდოსტატების გვერდით გამოსვლა ჩვენი ახალგაზრდებისთვის დიდი სკოლა იქნება. მით უფრო, სტუმრები 26 ნოემბრამდე თბილისში რჩებიან ერთობლივ შეკრებაზე, ანუ მათთან ვარჯიშის საშუალებაც მიეცემათ.

გოგონებში ჩვენების უპირატესობა აშკარა იყო და სამივე მედალი მათ მოიპოვეს. აქ უფრო სალუქვაძის ტირის წარმომადგენლებმა იყოჩაღეს, რომლებმაც პირველ-მეორე ადგილები გაინაწილეს – ოქრო **მარიამ მაღრაძემ** მოიპოვა 361 ქულით, მეორეზე კი **ანი გაგილაძე** გავიდა 359-ით. ოღონდ ამ ვერცხლის მოსაპოვებლად მას ცხარე ბრძოლა გაუმართა 13 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** – მანაც 359 ქულა დააგროვა, მაგრამ ბოლო სერიაში გაგილაძეს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა – 92 ქულა, კილაძის 86-ის წინააღმდეგ და ვერცხლის მედალიც ამით დაისაკუთრა. შეგახსენებთ, რომ კილაძე ახალგაზრდებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია და იქ საყურადღებო შედეგი აჩვენა, ახლანდელზე მთელი 10 ქულით მეტი – 369.

ვაჟთა შორის ქუთაისელმა მსროლელმა იმარჯვა – **გიორგი რამიშვილმა** 549 ქულა დააგროვა და ორით აჯობა მეორეზე გასულ აზერბაიჯანელ **ურფან ახუნდოვს**, ბრინჯაოს კი 545-იანი **ივა ჭანკვეტაძე** (სალუქვაძის ტირი) დაეუფლა.

სამწუხაროდ, ამჯერად შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია ქუთაისელ **ნინო ფანჩულიძეს**, რომელიც, ვიდრე სტუდენტი გახდებოდა, დიდოსტატთა სადარ შედეგებს აკეთებდა და მისი სახით მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს ღირსეული თანაგუნდელი ეზრდებოდა. შარშან ის თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და სპორტი, ფაქტობრივად, მიატოვა – სწავლისა და ვარჯიშის შეთავსება ვერ მოახერხა. ფედერაციის დიდი მცდელობის შედეგად, ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც სწავლას უთმობდა და შედეგები ვერ ამოქაჩა. წლეულს ის ქუთაისში გადავიდა სასწავლებლად და ფედერაციაში იმედოვნებენ, რომ რაკი ოჯახში იქნება, ვარჯიშს მეტ დროს დაუთმობს. კარგი იქნება, ასე თუ მოხდება, მაგრამ ეს პრობლემა, ზოგადად, მწვავედ დგას ქართულ სპორტში – სტუდენტი სპორტსმენები სწავლასა და ვარჯიშს შორის დილემის წინაშე დგანან. სამწუხაროდ, ეს პრობლემა აქამდე ვერ მოგვარდა. იმედია, განათლებისა და სპორტის სამინისტროთა ახალი ხელმძღვანელები მისი გადაჭრის ეფექტურ გზას მიაგნებენ, თორემ ასე ნებისმიერი ახალგაზრდა შეიძლება დავკარგოთ.

სიახლე!



კლასიკური ჰოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძართველოში
7. საძართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** ახალი
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** ახალი
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** ახალი
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი

„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >